№ 18. წელიწადი პირველი ფასი: ყველგან 15 კაპ.

F 221
1929

# დროშა




თბილისი

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას! ფოტო-შ. ფურცხვანიძე

ჩვენ ვაძლევთ პროლეტ. სახელმწიფოს კაპიტალური მშენებლობისათვის 750 მილიონ მანეთს



მექსიკის პარლამენტის კომპარტიის დეპუტატი გ ე რ მ ა ნ ლ ი ა ბ ო რ დ ი, რომელიც გადააყენეს დეპუტატობიდან და დააპატიმრეს.



ინდოეთის პირველი დეპუტატი ქალი მუთუ-ლაკშიმი ამმალ-, მადრასის საკანონმდებლო საბჭოს თავმჯდომარე და აქტიური მუშაკი ინდოეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



საფრანგეთის სენატის საფინანსო კომისიამ რა-ტიფიკაცია უყო შეთანხმებას ამერიკისათვის ვალის მიცემის შესახებ.

სურათზე—შ ა რ ლ დ ი უ მ ო ნ ი, შეთანხმების ავტორი.



ამ ჟამად შეერთებულ შტატებში ყველაზე პოპულიარულია 16 წლის ახალგაზრდა ყმა-წვილი. ვილბერ ჰექსტონი. ედისონმა იგი ამოირჩია თავის მემკვიდრედ, რადგან ედი-სონისგანვე გამოცხადებულ კონკურსზე 49 კანდიდატს შორის მან გაიმარჯვა. ედისო-ნი გაანდობს თავის საიდუმლო ბას და იმუშავებს მისი ხელმძღვანელობით.



საზღვარგარეთ ამზადებენ მსუბუქი წონის ნავებს, რომლის გადატანა შეიძლება ზურ-გით.



60 წლის გერმანელი მწერალი არტურ გელიჩერ, საბჭოთა კავშირის მეგობა-რი, დასწერა „3 თვე კავშირში“, რის გამო ბურჟუაზიულმა პრესამ განგაში ასტეხა.



პეიპინის კონფერენციის დელეგატები



ინგლისელი მწერალი ბერნად შოუ, რომელსაც შეუსრულდა 73 წელი.



მსოფლიოში ალიუმინის პირველი ავტობუსი, იწონის 26,000 გირვანქას, საათში გადის 45 მილს, იტევს 42 მგზავრს, ყოველი ადგილი დიდის კომფორტით არის მოწყობილი.








# ინდუსტრიალიზაციის დღე








მიმდინარე წლის ზაფხულში „ლენინგრადსკაია პრავდა“-ში გამოქვეყნდა მუშა სლობოდჩიკოვის მოწოდება, რომელშიაც ის წინადადებას იძლეოდა მოეწყოთ შაბათობა ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად. სლობოდჩიკოვის წინადადებამ საბჭოთა კავშირის მუშათა მრავალმილიონიან მასაში ცოცხალი გამოხმაურება ჰპოვა და 6 აგვისტო გამოცხადდა ინდუსტრიალიზაციის დღეთ.

არც ამიერ-კავკასია ჩამორჩა. აქ კოლექტიურ მუშაობის დღეთ გამოცხადდა ინგლისელ იმპერიალისტების კარნახით ესერ-მენშევიკების მიერ დახვრეტილ ბაქოს 26 კომუნარის დღე—20 სექტემბერი.

20 სექტემბერია. დილა მზიანი და ნათელი. საყვირები ერთმანეთს ეჯიბრებიან მუშების გაღვიძებაში, მაგრამ ეს საჭირო არაა. დღეს ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი თავის დასვენებას ატარებს დაზგებთან, მანქანებთან, მაღაროებში და ამით შეაქვს თავისი წვლილი ინდუსტრიალიზაციის ფონდში.

დღეს ბაქოს 26 კომისრის ხსოვნის დღეა. ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი მტვრიან ცეხებში, კოლექტიურ მუშაობით, საუკეთესოდ აღნიშნავს 26 ამხანაგის ხსოვნას. მრავალმა ათასმა მუშამ, შვებულებიდან დაბრუნებულმა თუ დაწინაურებულმა შესცვალა საზეიმო ტანსაცმელი ლურჯ ხალათებით. ისინი დღეს წარმოებაში მოვიდნენ, რომ თავისი შრომით გაადიდონ ინდუსტრიალიზაციის ფონდი.

ამ დღეს საჭირო იყო ახლებურად მუშაობა, საჭირო იყო ძალების დაჭიმვა, რომ გამომუშავებული პროდუქცია თუ ჩვეულებრივზე მეტი არა, იმდენი მაინც დამზადებულიყო.

ბრჭყვინავენ ფოლადის რელსები.

სადგურები მორთულა ბაირაღებით. ქარი აქანავებს უშველებელ წითელ ტილოებს, და თვითეულ მათგანს ამშვენებს თითქმის ერთნაირი წარწერები:

— გავაძლიეროთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი.

რელსებზე, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-შემკეთებელ სახელოსნოსთან, რკინის გზის პოლკის წითელარმიელები ასუფთავებენ გზას ნაგვისაგან და რკინის ნამტვრევებისაგან. წითელარმიელები არიან ქარხნის ცეხებში, ორთქლმავლებზე, დეპოში. შეკავშირება ხდება საქმით და ამ შემაკავშირებელ ძალას წარმოადგენს საერთო აზრი, საერთო სურვილი ინდუსტრიალიზალიზაციის ტემპის დაჩქარება.

ინდუსტრიალიზაციის საქმეში რკინის გზელებს მოზრდილი თანხა შეაქვთ—20.000 მან.

ეს მარტო თბილისში. ხაზებზე? ბაქოში, ბათომში, ლენინაკანში, ხაშურში და სხვა წვრილ სადგურებზე? არც ისინი აკლებენ და მუშაობენ გაძლიერებული ტემპით. პროლეტარიატის ინტერესები საერთოა, ის ადგილმდებარეობაზე არ არის დამოკიდებული.

არც თამბაქოს ქარხნის მუშები რჩებიან უკან რკინის გზელებს. ზარის შემდეგაც, როდესაც ახმაურდნენ მანქანები, ამოძრავდნენ კონვეიერები და მუშაობა გაჩაღდა, ისევ უკრავდა მუსიკა.

შვებულებაში მყოფნი აქაც მოვიდნენ სამუშაოთ. დაზგა ყველა დაკავებულია და არ იციან სად მიიკედლონ, მაგრამ მიუხედავად თავისი კვალიფიკაციისა, ისინი იწყებენ შავ სამუშაოს შესრულებას, გადააქვთ სავსე ყუთები, აჭედენ ლურსმნებს, ყოველი მათ ანი ცდილობს რამე გააკეთოს.

თემქამ რეკორდი აიღო. გარდა იმისა, რომ მუშები 100% გამოცხადდნენ, თან მოიყვანეს ცოლები და დები. საწყობებში, გასახურებელ ცეხებში პოულობენ ისინი სამუშაოს.

ქარხანა-ქარხანას მისდევს. ფაბრიკა-ფაბრიკას. ბევრია ასეთები. უთვალავი დაზგა და ყოველ დაზგასთან მუშა. ინდუსტრიალიზაციის დღემ ყველა ჩაითრია. დაახლოვებითი გამოანგარიშებით, ინდუსტრიალიზაციის დღე მთელ საბჭოთა კავშირში მოგვცემს 55 მილიონი მანეთის პროდუქციას. ეს თანხა საშუალებას მოგვცემს ავაგოთ ასეული ახალი გიგანტები, გამოუშვათ ტრაქტორების კოლონები, რომლებიც ასე სჭირია ჩვენი სოფლის მეურნეობას.

უნდა დავეწიოთ დასავლეთს, უნდა გაუსწროთ დასავლეთს—ასე სთქვა ლენინმა.

მუშათა ძალებით, მუშების ენტუზიაზმით ჩვენ შევსძლებთ ამის შესრულებას სულ ახლო მომავალში.

# ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე












საერთაშორორ. ახალგაზრდათა სასპორტო დღესასწაულზე სსსრის საუკეთესო ფიზკულტურელები დ ჩემპიონები.



**ზევით**: საერთაშ. ახალგ. დღის დემონსტრაციაზე ყურადღება მიიპყრო აქლემმა, რომელიც რიგებს უკან მისდევდა განცხადებით: „მესამე სესხი მოგდევთ კუდში“, „არ დაივიწყოთ ხუთწლიანის სესხი“.
**ქვევით**: საერთაშორისო მეოთხე კონფერენციაზე კომკავშირელი დელეგატები, გერმანიიდან: რ უ ტ კ ა ნ; მოსკოვიდან: უ დ ა ლ ო ვ; ინგლისიდან: ჯ ე ნ ს მ ე ფ; და ამერიკიდან: მ ე რ ი ჩ ი მ ო ნ.

**ზევით**: ახალგაზრდა კომუნისტების მე-4 საერთაშორისო კონფერენცია. სურათზე: კომკავშირის დელეგატები მონგოლეთიდან, ნორვეგიიდან და შვეციიდან.
**ქვევით**: სიახრომის ფაბრიკის მუშაკები ჩან-კაი-შის კარიკატურას ხატავენ.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, რომელიც წელს დიდი ზეიმით ჩატარდა, მიზნად ისახავს ახალგაზრდობის უფრო მტკიცე შეკავშირებას, მუშაობის გაჯანსაღებას და სწორ ლენინურ-მარქსისტულ გზით წარმართვას, უცხოეთის ახალგაზრდებთან სოლიდარობას. ამ დღის ამოცანებია, არსებულ საერთაშორისო მდგომარეობის გარკვევა ფართე მუშა-ახალგაზრდობის წრეებში, იმპერიალისტური ომის საფრთხის წინაალმდეგ ახალგაზრდათა მებრძოლების მობილიზაცია, ბრძოლა ბურჟუაზიასთან და მის დამქაშებთან—სოციალ-დემოკრატებთან, თეთრგვარდიელებთან, და კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის უფრო მაღლა ტარება, ნამდვილ ლენინურ-მარქსისტულ იდეების საფუძველზე.



უზარმაზარი ჰაეროპლანი „ДОХ“, რომელიც გამოსაცდელად გააფრინეს ბოდენის ტბაზე, ფრიდრიხის ნავთსადგურისკენ.



ინდუსტრიალიზაციის დღეს პიონერები მუშაობენ სადურგლოში, საჩარხავ დაზგაზე და საა[...] შენებლო ცეხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისის პიონერები



**ქუთაისის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის ბანაკად გასვლა.**

ყველასათვის ნათელია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზაფხულის პერიოდში პიონერების ბანაკად გასვლას, როგორც ჯანმრთელობის მხრივ დაკარგული ენერგიის შესავსებათ, ისე სუფთა ჰაერზე, პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ მუშაობის წარმოებისათვის ქუთაისის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციამ ამ მხრივ ფრიად სერიოზული და მეტათ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. წინასწარ სამზადისის შემდეგ 1-ლ აგვისტოს ქუთაისელი პიონერები რიცხვით 200 გაემგზავრა სურამში საბანაკოთ, სადაც დარჩნენ ერთს თვეს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბანაკად მყოფი პიონერები თავიანთი მეცადინეობის გარდა, ეწეოდნენ პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ მუშაობას. ეს სჩანს იქიდან, რომ პიონერები სურამში ყოფნის დროს დაეხმარნენ ღარიბ გლეხობას და შეაკეთეს სურამში ებრაელთა უბნის გზა. ეხმარებოდნენ გლეხობას კოლექტიურად სიმინდის რჩევაში, პურის მოყვანაში და სხვა. ამით პიონერებმა დაუმტკიცეს გლეხობას, რომ ისინი არიან სოციალისტურ აღმშენებლობის ერთგული და აქტიური მონაწილენი, რომელზედაც ამყარებს დღეს იმედებს პარტია და ხელისუფლება; ბანაკად მყოფი პიონერები საუცხოვო სანახავს წარმოადგენდნენ. სცხოვრობდნენ კარავებში. სწარმოებდა საუბრები, როგორც კოლექტივებში, ისე ცალ-ცალკე ჯგუფებში. ეწყობოდა ექსკურსიები სხვა და სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ნაშთების დასათვალიერებლად ესაუბრებოდნენ გლეხობას სხვა და სხვა საჭირბოროტო სადღეისო საკითხებზე, ბანაკში იცემოდა საუკეთესო კედლის გაზეთები, რომელშიაც იწერებოდა წერილები პიონერთა ყოფა-ცხოვრების და დღევანდელ აღმშენებლობის აქტუალურ საკითხებზე და ბანაკის ნაკლოვანებებზე და მიღწევებზე, აგრეთვე პიონერებმა ბანაკობის დროს ფართოდ გაშალეს კულტურული მუშაობა გლეხობაში; მართავდნენ უფასო საღამო-წარმოდგენებს, რასაც აუარებელი გლეხობა ესწრებოდა და კმაყოფილებას გამოსთქვამდა.

# ინდოეთის მუშათა კლასის გასამართლება

ინდოეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება ახალი რამ. ინგლის-ინდოეთის მთავრობა ხედავს, რომ ინდოეთში საშიშროებას წარმოადგენს არა სვარაჯისტები თავისი პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით, არამედ ფეიქართა რევოლიუციონური პროფკავშირი გირნი კამგარი, რომელეც ინსტიქტიურად მიდის კომუნისტებისაკენ, თუმცა ჯერ ვერ გარკვეულა რა არის კომუნიზმი. მაგრამ იგი გადაიქცა საფრთხობელათ, როგორც ხელისუფლებისათვის, ისე „თავისუფლების მოყვარულ" ინდოეთის ბურჟუაზიისათვის. ეს კავშირი, რომელიც 1928 წელს აერთიანებდა 324 წევრს, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ შემოიკრიბა 65.000 წევრი, თვალში ეჩხირება როგორც ინდოელ რეფორმისტებს, რომლებიც აღზრდილი არიან მეფის კარზე, ისე ინგლისის ტრედუნიონთა ღვთისმოსავ პროფბიუროკრატებს.

უკანასკნელ ხანებში ინგლის-ინდოეთის მთავრობამ, ლიბერალური ბურჟუაზიის დახმარებით ტერორით ჩაახშო მოძრაობა. ამისათვის მან ერთის მხრივ ბომბეელ მუშებს დაუსია ნახევრად ველური შტრეიკბრეხერები და ვითომდა რელიგიურ ნიადაგზე გამართა ხოცვა ჟლეტა, ხოლო მეორეს მხრით ციხეებში დაამწყვდია მუშათა ბელადები. დაპატიმრებისათვის მიზეზების გამონახმა ადვილი საქმე იყო. ამისათვის მიმართეს ჩვეულებრივ ფანდს—პროვოკაციას. ერთ მშვენიერ დღეს ინდოეთის პარლამენტის შენობას ესროლეს ყუმბარა, ამასთანავე ხალხში მოჰფინეს „ინდოეთის რესპუბლიკანური არმიის" მოწოდების ფურცლები, რომელშიც ნათქვამი იყო „ჩვენ, კომუნისტებმა უნდა მოვსპოთ მტერიო". თუმცა ეს პროვოკაცია ცოტა უხეში გამოვიდა, მაგრამ ამან არ დაუშალა მეფეს ციხეში ჩაეყარა მუშათა მოძრაობის ასეული მეთაური, რომლებსაც წაუყენეს „მეფე-იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის" ბრალდება. ეშინოდა რა მასებისა ხელისუფლებამ საქმის გარჩევა დანიშნა მიყრუებულ ქალაქ მირუტში.

აი უკვე თვენახევარია, რაც ირჩევა რევოლიუციონური პროლეტარიატის წარმომადგენელთა საქმე. არავითარი ბრალდების დამამტკიცებელი საბუთი არ არის და ეს აშკარავდება თანდათანობით. არ იცავენ, აგრეთვე, არავითარ კანონის ნორმას ბრალდებულთა მიმართ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა ბრალდებულთა ელემენტარული უფლებები, ადმცველებს არ აძლევენ დაცვის საშუალებას, არ აძლევენ მოწმეების გამწვევის ნებას, რომელთაც შეეძლებათ ბრალდების სიყალბის და უხეშობის გამოაშკარავება.

ინგლისის „მუშათა" მთავრობა სდუმს' თუმცა მის კაბინეტს ამშვენებს ისეთ „დამსახურებული ვეტარანები"-ს სახელები, როგორც არიან სიდნეი ბებ, ლენსბერი, მეორე ინტერნაციონალის მეთაური ჰენდერსონი და ბოლოს თვით, „ჩვენი დროის სოციალიზმის" უდიდესი ქურუმი რამზაი მაკდონალდი. ირგვლივ პროტესტი გაისმის. ამ დღეებში გაზეთები აქვეყნებდნენ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული მასწავლებლების პროტესტს, რომელიც მათ ტელეგრაფით გაუგზავნეს ინგლისის მთავრობას. არას დროს მეორე ინტერნაციონალის სახე, როგორც კაპიტალიზმის ლაქიის და მისი ინტერესების დამცველისა, არ გამოაშკარავებულა ისე ნათლად, როგორც ეხლა, „მუშათა" მთავრობის დროს. მაგრამ ამ მთავრობამ იცის ხანდახან „დაცვაც". მაგალითად როცა 1927 წელს, სახ. პოლიტსამმართველომ აღმოაჩინა კონტრრევოლიუციონური შეთქმულება, მისი თვალსაჩინო წევრები დახვრიტა, მექსტონმა და ლენსბერიმ საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს ამხ. რიკოვს. იქნებ იმიტომ არიან გაჩუმებულნი ეხლა, რომ მირუტში ასამართლებენ საბჭოთა კავშირის მეგობრებს და იმპერიალიზმისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის შეურიგებელ მტრებს?

მ.



ლიკან-ს სასახლე

ნიკოლო მიწიშვილი

# ექვსი ღუბერნატორი

წიგნიდან: „ეპოპეია“.

— ამბოხება ჩინეთში!

— ამბოხება მაროკოში!

— ამბოხება საქართველოში!..

1924 წლის ზაფხულს პარიზის გაზეთები დღეში სამჯერ გაჰკიოდნენ ქუჩებში ასეთი ანშლაგებით.

მაროკოში ღმუის რიფერთა ბელადი აბდელ ქერიმი და რაზმავს აფრიკის მზით გადარუჯულ ვაჟკაცებს ისპანეთისა და საფრანგეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

რიფელთა მეომრები იბრძვიან ინგლისური იარაღით და ინგლისური გაზეთები აცხადებენ, რომ ყველაფერში დამნაშავეა მოსკოვი და მესამე ინტერნაციონალი.

ეს ხდება მაროკოში.

ვიწროთვალება ჩინელი, რომელიც კანტონის ქუჩებზე ეტლშია შებმული და ცხენის მაგიერ ეზიდება ევროპიელ მისიონერებს, პროფკავშირში ჩაეწერა. მან ევროპიელები ეტლიდან გადმოყარა და ვინტოვკა აიღო ხელში. იარაღი დაღდარტყმულია ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში, იაპონიაში. ჩინეთი ამბოხებულია ყველას წინააღმდეგ და ყველა აწვდის მას იარაღს. რასაკვირველია ნაღდ ფულზე. დიდი სახელმწიფონი ამტყუნებენ ერთი მეორეს და ყველა ერთად ჰპოულობს „მოსკოვის ხელს“. ეს ხდება ჩინეთში.

რა ხდება საქართველოში? რა იცით ახალი? ასეთი კითხვით იღება კარი ღენერალ №-ის ბინაზე და რუსი ემიგრანტი გრაფ ველმორ-დე ბოკი შემოდის სალონში.

საღამოს 8 საათია. სალონი პოლიტიკითაა სავსე. იმპერატორის კარზე დაახლოვებული ექვსიოდე რუსი ემიგრანტი სცდილობდა საკუთარი ფანტაზიის დამორჩილებას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა: რაც უფრო შორს მიდიოდა მოგონება „წარსულ დროთა“ ბრწყინვალებაზე, მით უფრო შორდებოდა აზროვნება სინამდვილეს. ეტყობოდა, ბოლშევიკების დამხობის შემდეგ, არც ერთ მათგანს გუბერნია არ ასცდებოდა. მე შევსჩერებოდი ამ ექვს მომავალ ღუბერნატორს, ვსცდილობდი წარმომედგინა ქარტაზე რუსეთის ექვსი უზარმაზარი გუბერნია და. .

და შემდეგ არაფრის წარმოდგენას აღარ ვსცდილობდი მე, რადგან მაციებდა. ალბად ეს იყო სამეგრელოდან გამოყოლილი მალარიის ბრალი. თუმცა მეტროპოლიტენის ხაზი იქვე გადიოდა, ღენერალის ბინასთან და სენაც იქვე იყო ორი ნაბიჯის გადადგმაზე. მეტრო რახრახით გადიქროლებდა ხიდზე და წივილით შევარდებოდა გვირაბში. სენაზე გაისმოდა პატარა გემების სირენები. და ეს წივილი მეჩვენებოდა მე, როგორც ჰაერში გაქანებული მათრახის მოქნევა ადამიანის შიშველ ზურგზე...

შეიძლება მეგრული ციება აქ არაფერ შუაში იყო.

და უფრო შუაში იყო ღუბერნატორები...

მე ვსდუმდი. ჩუმათ იჯდა მასპინძელი ღენერალიც. სწევდა პაპიროსს და თავაზიანად მიყავდა საუბარი. და როცა გრაფმა შემოაღო კარი, ღენერალი მიეგება მას, მიაწოდა სავარძელი და უპასუხა:

— საქართველოში? თითქოს ამბოხებულები იმარჯვებდნენ... თუმცა ძნელია ჯერჯერობით რაიმე გადაჭრილის თქმა.

— ყოჩაღ, მაინც ყოჩაღ, ქართველებო.

— მე არ გეთანხმები თქვენ, გრაფ, — გააწყვეტინა მოხუცებულმა პოლკოვ-

ნიკმა, რომელიც ამჟამად ფანარდ-ლევასსერის საავტომობილო ქარხანაში მუშაობდა. არ გეთანხმებით იმიტომ, რომ ქართველების მხრივ ეს პირწავარდნილი ავანტიურაა...

— ჰმ... ესე იგი...

— ესე იგი ის, რაც წელან მოვახსენე ბატონ ღენერალს: ქართველები ამ შემთხვევაშიაც ივიწყებენ რუსებს და ამაშია მათი შეცდომა. მე არასოდეს არ მესმოდა „ინოროდცების" ყოყოჩობა და სეპარატიზმი. როგორ შეიძლება ასეთი აზბოხება დაიწყოს კაცმა და მონარქისტულ ძალებს არ შეუთანხმდეს? ყველასათვის ხომ აშკარაა, რომ რუსეთშიაც და უცხოეთშიც ძალა და გავლენა მონარქისტების ხელშია.

— თქვენ მართალს ბრძანებთ,—სთქვა ძველი რუსეთის საელჩოს გავლენიანმა პირმა,—მართალია, მაგრამ რამდენათაც ვიცი ქართულ მთავრობას ამის შესახებ მოლაპარაკება ჰქონდა, როგორც ვრანგელთან, ისე ნიკოლაი ნიკოლაიჩთან. ამბობენ, მაგალითად, რომ პირველი დახმარება, რომელიც აქედან წავა საქართველოში, ეს იქნება ვრანგელის რჩეული ოფიცრები. ისინი ამთავითვე ბაზად გაიხდიან ბათომს და შემდეგ ყუბანისკენ განავითარებენ ოპერაციებს...

— საინტერესოა მილიუკოვის აზრი დღევანდელ გაზეთში. ჩემის ფიქრით სწორი აზრია გამოთქმული, — მორიდებით სთქვა პოლონური გვარის მქონე არისტოკრატმა.

— მილიუკოვი ცნობილი იდიოტია, —უპასუხა მას გრაფმა,—მაგრამ დღეს თითქოს მართლაც ჭკვიანური აზრი დასწერა...

(მილიუკოვი კი სწერდა თავის გაზეთში, რომ „რითაც არ უნდა გათავდეს საქართველოს აჯანყება, ერთი რამ უდავოა და ყველასათვის გამორკვეული: რუსეთი არასოდეს არ დასთანხმდება და არასოდეს იგი არ დაადასტურებს ანტანტას უმაღლესი საბჭოს 1919 წლის დადგენილებას, რომლის ძალითაც საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურეთ იქნა ცნობილი. ჩვენ არავითარ პირობებში არ შეურიგდებით საქართველოს რუსეთიდან გამოყოფას და თუ იმ დროს, როდესაც, ბოლშევიკების დამხობის შემდეგ, რუსეთში დამყარდება დემოკრატიული წესწყობილება—საქართველო იქნა რუსეთიდან გამოყოფილი: ჩვენ იძულებული ვიქნებით საქართველოსთან ვილაპარაკოთ 1917 წლამდე არსებული ენითო")

— არც მილიუკოვია მართალი, – მორიდებით სთქვა მასპინძელმა. საქმე იმაშია რომ...

— საქმე იმაშია, რომ, თქვენც სეპარატისტი გახდით, ბატონო ღენერალო, პატრიოტი და სამოსტინიკი, — გააწყვეტინა გრაფმა.

— გასაგებია ღენერალის გრძნობებიც, – თითქოს უხერხულობიდან გამოიყვანა ღენერალი მისმა მეგობარმა, შტაბის ძველმა უფროსმა,—და განსაკუთრებით ისეთ დროს როცა...

— მდა... მმდაა... ჩააჩუმეს ლაპარაკი სტუმრებმა და საუბარმა შესცვალა მიმართულება.

— ჰო, მართლა, ერთი ახალი ამბავიც, — წამოხტა სავარძლიდან გრაფი. დიდი ძთავარი (ესა და ეს) გამოქცეულა რუსეთიდან...

— რას ლაპარაკობთ?!

— ნუ თუ ეს მართალია?!

— რას ბრძანებთ!

— დიახ, დიახ!

— რუსეთს არაფერი არ დაუკარგავს ამითი,—ჩაურთე მე უხერხული ფრაზა და სავარძლიდან ამომაგდო შეკავებულმა მღელვარებამ.

ღენერალი მიხვდა რაღასაც. ადგა, თითქოს ვიღაცა კარებს ურაკუნებსო—უცბად გამოაღო კარი და ისევ დაკეტა. მომიბრუნდა: აანთო სასადილო ოთახში ელექტრონი. და შემდეგ სტუმრებს: ჩვენებმა შეიგვიანეს რაღაც, მობრძანდით, დავლიოთ ჩაი, ბატონებო!..

მე გავედი.

და როდესაც შემოვბრუნდი სალონში, გრაფმა გამაჩერა, მომკიდა ფინჯაკის ღილში ხელი და თითის ქნევით მითხრა:

— ყმაწვილო ესე იგი რუსეთს არაფერი დაუკარგავს?

— ?.

— ასეთი ხართ თქვენ, ქართველები. უმადურნი და რუსეთის მოსისხლეები. მაგრამ ჩვენ ეს ვიცით. ჩვენ ყველაფერი გვახსოვს. და არაფერი არ გვავიწყდება. ჩვენ ვიქნებით რუსეთში. დღეს თუ არა ხვალ დადგება ბოლშევიკების აღსასრული და იცით მაშინ რა მოხდება? ქართველებიც ყველაფერში აგებთ პასუხს. დიახ, თქვენ კარგათ დაიხსომეთ, ყმაწვილო, ჩემი სიტყვები...

და ის წავიდა მაგიდასაკენ.

* * *

გრაფ ველმორ!

მე კარგათ დავიხსომე თქვენი სიტყვები და იმ საღამოსვე ჩავიწერე ეს ეპიზოდი უბის წიგნაკში. თქვენც აპირებდით მაშინ ღუბერნატორობას და რაღასაც იმუქრებოდით.

იმედია თქვენ გაგეხარდებათ, რომ მე არ ჩავმარხე თქვენი ბრწყინვალების ნათქვამი უბის წიგნის ფურცლებში და გაუზიარე მათ, ვინც ამ სიტყვებს თავის მხრივ კარგად დაიხსომებს.

და როცა საიქიოდან გაგულისებით შემოთვლილ მუქარას გაიგონებს ჩვენი მუშა, ისიც გაიღიმებს, მაგრამ უფრო მხნეთ დასცემს ჩაქუჩს;

ჩვენი გლეხი უფრო ღრამთ გაატარებს მიწაში ბარს, რათა საბოლოოდ ამოძიროს თქვენისთანა მებატონეთა ნაკვალევი:

წითელი ჯარის კაცი კი უფრო ზუსტად გაუმიზნებს თოფს. მიზნის წერტილში მას უთუოდ წარმოუდგება თქვენი ჯიშიანი თავი და—

— არ გაუცდება ტყვია წითელარმიელს, ეჭვს გარეშეა.

მაშ, იცხოვრეთ ოცნებით, გრაფ, და ნუ დაგვივიწყებთ.



სახალხო კავშირის მუშაკთა კლუბის დრამატიული წრე

# ა.-კ. რკ. გზის ცენტრალური საცდელ-ტექნიკური სადგური

23 აგვისტოს თბილისში საძირკველი ჩაეყარა (პირველს ამ.-კავკასიაში) საწარმოო პროცესების საკონტროლო ორგანოს—ა.-კ. რკინის გზის ცენტრალურ საცდელ-ტექნიკურ სადგურს.

გამომუშავებულ პროდუქციის და წარმოებისათვის საჭირო ნედლი მასალების შესწავლა-გამოცდა უმთავრესი პირობაა იმისათვის, რომ ჩვენ მივიღოთ კარგი ხარისხის და თვისების ნაწარმოები.

ასეთი შემსწავლელ-საკონტროლო ორგანოს უქონლობა ჩვენს წარმოებაში დიდ უხერხულობას წარმოადგენდა. განსაკუთრებით ეს საგრძნობი იყო რკინის გზის მეურნეობაში.

ნაწარმოებ პროდუქტების თვითღირებულების სიდიდე, ამ პროდუქტების მდარე ხარისხიანობა და საერთოდ შეკეთების საქმის სიძვირე, რაც დამახასიათებელია ა.-კ. რკ. გზის წარმოებისათვის შედეგია იმისა, რომ აქამდე არ მოგვეპოება სათანადო ტეხნიკურ - საკონტროლო დაწესებულება.

მართალია სტალინის სახ. ქარხანასთან არსებობს მექანიკური ლაბორატორია, რომელიც იკვლევს წარმოებისათვის საჭირო ნედლ მასალას, მაგრამ იგი უკვე ველარ აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ ფართო მოთხოვნილებებს. ამ ლაბორატორიის შესაძლებლობანი უკვე ამოწურულია. მას იმაზე მეტის მოცემა, რაც მოგვცა, აღარ შეუძლია. უნდა ითქვას კი, რომ მან ბევრი რამ გააკეთა. იქ გამოირკვა მთელ რიგ ნედლი მასალების უვარგისობა წარმოებისათვის, რომელთაც ქარხანა იღებდა საბჭოთა თუ უცხოეთის სამრეწველო დაწესებულებებიდან.

ეხლა, როდესაც ჩვენი წარმოებისა და მრეწველობის მასშტაბი და ტემპი კოლოსალურად იზრდება, როდესაც ჩვენი მეურნეობა წარმოებას უყენებს გაცილებით უფრო მეტ მოთხოვნილებებს, ვინემ აქამდე, საკონტროლო-ტეხნიკური ორგანოს საჭიროება ცხადზე-უცხადესი ხდება.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ა-კ. რკ. გზის გამგეობამ და გადასწყვიტა საცდელ-ტეხნიკური სადგურის აგება.

რომ ამ ორგანოს საჭიროება უდიდესია იქიდანაც ცხადი ხდება, რომ სადგურის საძირკვლის ჩაყრას ფართოდ გამოეხმაურა თბილისის პროლეტარიატის ფართო მასა და თავი მოიყარა სადგურის ასაშენებელ ადგილზე, საძირკვლის საზეიმო ჩაყრის დღეს.

თითქმის ყოველი ორატორი, რომელიც კი გამოვიდა იმ დღეს და მიესალმა სადგურის შენების დაწყებას აცხადებდა, რომ ეს ორგანო მოახდენს რევოლიუციას წარმოებაში, რომ საქმის მეცნიერული ექსპერტიზის გარეშე წარმოების სისტემამ თავისი დრო დიდი ხანია მოსჭამა და მხოლოდ ჩვეულებრივი დაუდევრობა იყო მიზეზი იმისა, რომ აქამდე ჩვენ არ მოგვეპოებოდა ისეთი ტეხნიკური ორგანო, რომელიც მოაწესრიგებდა არა მარტო ტრანსპორტის, არამედ მთელი ამ-კავკ. საწარმოო დაწესებულებათა საწარმოო ცხოვრებას.

— რა მიზნებს ისახავს საცდელ-ტეხნიკური სადგური?

— მიზნები დიდია და მეტად საპასუხისმგებლო, იგი შენდება იმისათვის, რომ გაუწიოს სამეცნიერო-ტეხნიკური კონტროლი ყოველგვარ ნაწარმოებს და აგრეთვე ამ წარმოებისათვის ნედლი მასალის მიწოდებას. ამასთანავე მისი მიზანია აწარმოოს მეცნიერული ხასიათის საცდელი მუშაობა.

ამ თვალსაზრისით სადგურის მნიშვნელობა განუზომელია, რადგან ჩვენ საწარმოო დაწესებულებებს აღარ მოუხდებათ ისე უსარგებლოდ აჩანაგონ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, როგორც აქამდე.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენ ტეხნიკურ ჩამორჩენილობას, ცენტრალური საცდელი სადგური თავის დროზე გადაიქცევა სკოლად არა მარტო მოზარდ ახალგაზრდა ძალებისათვის, არამედ ეხლანდელი ინჟენერებისა და ყველა მათთვის, რომელთაც კავშირი აქვთ წარმოებასთან.

ამიერ-კავკასიისათვის 23 აგვისტო ისტორიულ დღედ გადაიქცევა იმ მხრივ, რომ ამ დღეს პირველად ჩაეყარა საძირკველი მეცნიერულ დაწესებულებას, რომელიც მომავალში კულტურის გამავრცელებელი იქნება ტეხნიკურ და სამეცნიერო ორგანოებისათვის. იგი საშუალებას მოგვცემს თავი დავაღწიოთ იმ არანორმალურ მოვლენებს, რომელნიც ეხლა გველობებიან წინ ყოველ ნაბიჯზე და ხელს გვიშლიან.

მთელმა საზოგადოებამ და ტეხნიკურმა ორგანოებმა უნდა მიაქციონ თავისი მაქსიმალური ყურადღება ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულების აშენებას და განვითარებას.

ა. კელ-ძე




**ა.-კ. ცენტრალური საცდელ სადგურის პროექტი.**

1) პროექტის ავტორი ვ. ა. ბადრაკოვი; 2) არქიტ. ნ. ა. მადათოვი, 3) ინჟ. კ. გ. ცაგარელი; 4) ინჟ. გ. მირზოევი და 5) უფროსი ტეხნიკი მ. ნ. კარაპეტიანი.

---

სეზმან ერთაწმინდელი.

## შემოდგომის სურათები

სოფელი დღეს სულ სხვა არი,—
აძაჭრებული თვალებით;
და, ისმის დილის საარი—
ახალ თქმით ანამთვრალები...

—

აქვს გამოხედვა ძლიერი,—
და, სიტყვა ბარაქიანი...
სდგას მუდამ ბრძოლის იერით,—
ვით ჯიხვი, ნაგრეხ რქიანი,

—

გაქცეულ ყაჩაღებივით,—
ტყეს შეფარვიან ჯანღები;
ქარი თმებს იგლეჯს, გიჟივით,—
და ქშუის ანაჯანყები...

—

ღელეში ყირად ცვივიან,—
თავ-პირის მტვრევით, რუები...
სერზე ორბები ჰკივიან,—
ისმის ხმა, დამაყრუები.

—

ხუთქიმიანი ვარსკვლავი,—
ჰქმნის გამარჯვების არაკებს;
და, შრომის ლაშქრის მძლავრ მკლავით
მანქანებს ალაპარაკებს...

—

ტრაქტორნი, ქარავანებად,—
მინდვრებზე ველარ ეტევა;
მთებსაც მოელის ყანებად,—
მათი ამაყი შეტევა...

—

რთველია... ვაზებს მტევნები,—
ძუძუებივით ჰკიდია...
ერთმანეთს ანადევნები,—
ქალ-ვაჟნი კრეფად მიდიან...

—

შარა გზას, ახმაურებით,—
ურმის ჭრიალი ატყვია;
თვალი ვერ ძღება ყურებით,
ზედ რომ დოვლათი აწყვია...

# მეოთხე ტირაჟზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი

დაღამდა უცებ, ისე როგორც ეს იცის სამხრეთში. მაგრამ ჯერ კიდევ ბინდ-ბუნდში, როდესაც დღის სინათლე ღამის სიბნელეს ებრძოდა, ორჯონიკიძის კლუბის შესავალთან მაღალ სვეტებზე აენთო ცეცხლოვანი წითელი ასოები.

პლეხანოვის პროსპექტის მოშორებული ადგილებიდან, ქალაქის ყველა მაღლობიდან მოსჩანს ეს სინათლე, რომელიც ყველას იზიდავს თავისი ელვარებით. სვეტებზეა წარწერა: ტირაჟი.

სათეატრო პავილიონში გაიხსნა საკავშირო ფინსახკომის გამოფენა. გამოფენამ დაიკავა მთელი დარბაზი და თვით სცენაც. დიაგრამებით, მაკეტებით და რუკებით მნახველის თვალის წინ გადის სამოქალაქო ომის მთელი ეპოქა, ერთმანეთს მისდევენ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი, ფული და ფული... თვითეული ქაღალდი, თვითეული დროებითი ვალდებულება საინტერესოა, იგი გვიჩვენებს იმ „დემოკრატიული“ სახელმწიფოების ჭეშმარიტ სახეს, რომელნიც სოკოებივით ამოცენდნენ ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე.



პიონერი იღებს ნომერს

შეიძლება ითქვას, რომ ფულის ნიშნების კოლექცია გამოფენის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილთაგანია.

ტრამვაის ვაგონებში ტევა აღარ არის. თვითეული ვაგონიდან ტრამვაელთა ვეებერთელა ახალ სახლებთან გადმოდის უთვალავი ხალხი. ყველა გამსჭვალულია ერთი სურვილით—ნახოს, თუ რა „ეშმაკურ მანქანას“ წარმოადგენს ეს ტირაჟი.

სათეატრო დარბაზში შესვლა მეტად ძნელია.

იგი გაშუქებულია პროჟექტორებით და თვალისმომჭრელად კაშკაშებს. პრეზიდიუმის წინ, სასცენო მოედნის დასაწყისშივე დამაგრებულია ორი ლითონის ბორბალი და ბორბლების მინის კედლებში მოსჩანს სპილენძის პატარა ვაზნები, რომლებშიაც მოთავსებულია სერიების ნომრები და მოგების თანხები.

განუწყვეტლივ ისმის კინო და ფოტო აპარატების სახელურების ტკაცა-ტკუცი. ფოტორეპორტიორებს, როგორც სჩანს სოციალისტური შეჯიბრება გაუმართავთ, სცდილობენ ერთმანეთს გაუსწრონ, მიცოცავენ სვეტებზე, რამპაზე, რათა სურათის გადასაღებად უკეთესი ადგილი გამონახონ.



თვალყურს ადევნებენ მოგებულ ნომრებს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშებისა და გლეხების წარმომადგენელნი. პიონერები და წითელარმიელები ერთმანეთს სცვლიან. ყველა სცდილობს გამოსთქვას თავისი განწყობილება ამ საზეიმო საღამოს. ლაპარაკობენ სხვადასხვანაირად, ზოგჯერ არც თუ ძალიან დალაგებულად, მაგრამ ყველას მისალმების შინაარსი ერთია: საბჭოთა მთავრობის ფინანსიური ოპერაციებისათვის ერთსულოვნად მხარის დაჭერა და სესხებზე ხელისმოწერა სრული ასი პროცენტით.

ამხ. ე ლ ი ა ვ ა ამთავრებს თავის სიტყვას. დიდხანს გრიალებს ტაში. ეს ტაში ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ როგორ გულმხურვალედ ეხმაურება აუდიტორია თავისი მთავრობის პოლიტიკას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი ყუთებიდან ბეჭდებს ხსნიან.

ბორბლები დატრიალდნენ და დადგენ.

ეხლა ყურადღების ცენტრში მოექცნენ შვინდისფერ ყელსაბამიანი პატარა კაცები. მათ შესცქერის მთელი დარბაზი, მათ ხელშია მრავალი ათასი კაცის „ბედი“.

ამოღებულია პირველი ვაზნა.

სცენის უკან, პრეზიდიუმის თავზე ელექტრონით აღიბეჭდა პირველი ციფრები... 25 ას-ას მანეთიანი მოგება ხვდა ამ ნომერს.

დამსწრეთა ხელში მრავალი ათასი ქაღალდის აშრიალებამ ერთი წუთით დაფარა იუპიტერების შიშინი. ობლიგაციების კოლექტიურად შენახვის კამპანიამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა; ობლიგაციები თითქმის არ მოსჩანს, უმრავლესობას ხელში აქ.ს ანაბარების ქვითარები, ან უბრალო ფურცლები ამოწერილი ნომერით.

დიდი ქუჩების ჯვარედინებზე. ქარხნებში და ფაბრიკებში ბაღებში და კლუბებში მუშაობენ სახელმწიფო ბანკის მფრინავი ბრიგადები. ლატარიის ციებ-ცხელება ბევრს მოედო. მოთხოვნილება აღემატება მიწოდებას და ხშირად საჭირო ხდება „ვაჭრობის“ შეწყვეტა ახალი ობლიგაციების მიღებამდე.

ტირაჟის სიახლოვე ბევრს იტაცებს იმ იმედით, რომ ახალი ობლიგაციით მონაწილეობა მიიღოს გათამაშებაში და იქვე მოიგოს.

ტირაჟი ფართო მასის თვალის წინ სწარმოებს და თავისი სიმარტივით და, რაც უმთავრესია, მოგების დიდი შანსით, ბევრს უღვიძებს ობლიგაციების შეძენის სურვილს. იშვიათად თუ ვინმე დააბრუნებს ობლიგაციას ბანკის სალაროში, რაკი ერთხელ შეიძენს მას.

„ბედის“ ბორბლები კი ტრიალებენ და ტრიალებენ. ყოველ საათში, ყოველ დღეს კლებულობს ყუთებში ვაზნების რიცხვი და მატულობს მოგებათა რიცხვი აქაც და მთელ საბჭოთა კავშირშიაც. ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატების რუპორები გაჰყვირიან მორიგ მოგებათა ნომრებს, ხოლო მათ ყვირილში ფინანსიური ორგანიზაციების წარმომადგენელნი ურიგებენ ხალხს ლიტერატურას, იძლევიან პასუხს მრავალ ას შეკითხვაზე და ამრიგად აწარმოებენ თავიანთ შეუმჩნეველ, მაგრამ საჭირო მუშაობას.

იქვე, ტირაჟის დროს, ხდება "მოგებული ფულის გაცემა... ტირაჟი დამთავრდა... შეიძინეთ, ამხანაგო, მესამე სესხის რამდენიმე ახალი ობლიგაცია.

**სანდრო თბილისელი.**

# ინდუსტრიალიზაციის დღე თბილისში



ფოტო-მონტაჟი
შ. ფურცხვანიძის

დავჭიმოთ ძარღვები
საინდუსტრიოთ!
ვაშენოთ ახალი!
ძველი ვანგრიოთ!
დაბრკოლებანი
უშიშრად ვძლიოთ
და ვინც გვიმტყუნოს,
ზურგი ვაქციოთ!
ამხანაგებო!

აღვმართოთ მკლავი!
სირცხვილი ვინც რომ
დაზოგოს თავი!
აქ საჭიროა
წყრაქვი, ლომი,
იქ კიდევ დაზგა,
გრდემლი და ურო;
ავაღორძინოთ
ქვეყანა შრომით,

კომუნიზმისკენ
მხნედ გავეშუროთ.
იქ საბურღავი
დაჰკრათ ნიადაგს,
რომ ამოხეთქოს
შადრევნათ ნავთმა;
აქ გზა გაუჭრათ
რკინის ლიანდაგს,
რომ ორთქლმავალთა

იფეთქოს ზავთმა!
ამხანაგებო!
აღვმართოთ მკლავი!
სირცხვილი, ვინც რომ
დაზოგოს თავი!
სირცხვილი, შრომა
ვინც დაიზაროს,
ვინც სიძველეში
მხდალს დაემალოს!

ჩვენ კი, წინ, ძმებო!
სულ წინ ვიაროთ!
ოფლიც და სისხლიც
ერთადა ვღვაროთ!
და დე დარწმუნდეს
ყოველი მტერი,
რა ძლიერია
დღეს ესესერი!

გ. ქუჩიშვილი.

შეურყეველი ნებისყოფით და მილიონ ხალხის შრომით ინდუსტრიალიზაციის საშუალებით აღორძინდება საბჭოთა კავშირი.

ძლევამოსილი პროლეტარიატის მეთაურობით საქართველოში შენდება ელექტრო-სადგურები, ქვანახშირის და ნავთის საწარმოები: ლითონის, სატყეო, ქაღალდის და საფეიქრო ქარხნები; შენდება ახალი რკინის გზები; ქალაქად და სოფლად — შენობები; გაჰყავთ გზატკეცილები!

ამ გრანდიოზულ საქმისთვის გადადებულია რამდენიმე ასეული მილიონი.

ინდუსტრიალიზაციასთან ერთად სწარმოებს მშრომელ გლეხობის კოლექტივიზაცია. ვითარდება და ფართოვდება კოლმეურნეობანი.

# წითელ ჯარში

## მოთხრობა მ. დარბინიანის.

თარგმანი სომხურიდან — **ნ. ათოევის მიერ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურნის ხმა მთა და ველს მოსდებოდა. მეზურნეს ლოყები გაებერა და „საჭარს“ მძიმემძიმედ აძალებდა.

მთის მწვერვალზე მსუბუქ ზეწარივით გადაფენილი ნაცრის ფერი ღრუბლები, წითლად შეიმოსნენ და დილის ნიავთან ერთად ცეკვა მოამართეს.

ჰიპ-ჰიპ-ურააა... დოლის ხმასთან ერთად ახლად გაწვეულ ახალგაზრდების ხმის ზუზუნი მოისმა.

ჯარში ახლად გაწვეული ახალგაზრდები დაგროვილიყვნენ სოფლის ბოლოში მდებარე გორაკზე და მთელი ღამე გამოთხოვების ქეიფსიხარულს მისცემოდნენ. მეორე დილას ისინი თავიანთ ოლქის ცენტრში და იქიდან კი წითელ ლაშქარში, სამხედრო სამსახურში უნდა გამგზავრებულიყვნენ. მზემ, როგორც ქალწულმა ქალმა, თავი მთის ბოლოდან ამოყო, მხურვალედ გაუღიმა ქვეყანას და დილამშვიდობისა უსურვა მას. ყოველივე ცოცხალი არსება წამოდგა.

წითელ ლაშქარში წამსვლელების დედები და დები, ზოგიერთების კი დანიშნულ-ცოლები დაბეჯითებით საქმეს შესდგომოდნენ და წამსვლელებისათვის საგზალს ამზადებდნენ.

სოფლის შუაგულში შეგროვილი მამაკაცები კი ჯარში წასვლის შესახებ სჯა-ბაასს მისცემოდნენ. ერთი მეორეს სიტყვას სტაცებდა და მეფის დროის „სალდათობაზე“ მოუთხრობდა.

— ეჰ, რა არის ახლანდელი სამსახური?... ახლა ბატონობაა, ბატონობა — მოუთხრობდა ერთი.

ყველაზე დიდი მანძილი, სადაც უნდა წავიდეს წითელი ჯარის კაცი, ეს არის ერევანი, გუმბრი, ან კარაქლისი და დილიჯანი... კაცმა რომ პირი დაიბანოს, მანამ შეიწმინდავს,—ადგილზე მისვლას მოასწრებს.

ჩვენს დროს იცით რა იყო?.., გაავსებდნენ ვაგონებს და—რახ-რახ-ჩახ-ჩახ ჩახ „ვრასეიში“ გვიკრავდნენ თავს. ჰეი, ეგ რა არის იმასთან შედარებით — მოასწრო სიტყვა მეორე მებაასემ.

მთის მწვერვალზე გაზრდილი მწყემსი ვიყავი. რუსული „ხოროშო“ც არ მესმოდა რა იყო. აილეს და თავი ტამბოვის „გუბერნიაში“ მიკრეს —წამლად, რომ გდომებოდა ერთ სომეხს ვერ იპოვიდი.

ღორებისავით შეგვრეკეს გატენილ ყაზარმებში, მეორე დღეს გამოგვიყვანეს და გვარბენინეს „—რაზ-დვა—ლევოი-პრავოი“, ან თუ არა და ბუზალაკისაგან გამწარებულ ცხენივით იდექ ადგილზე და თუ ბიჭი ხარ აბარტყუნე ფეხები. არც მე მესმოდა მათი ნათქვამი და არც იმათ ჩემი ენა.

რა პირუტყვი და რა მე—ორივე ერთი ვიყავით.

— მეც ლოძაში წამიყვანეს—ჩაერია ლაპარაკში მესამეც.

— ბევრი დამტანჯეს ფეხები სწორედ ატაროეო, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. აილეს და „დენშჩიკად“ გამგზავნეს. მთელი დღე ან ჩექმებს, ან იატაკს ვწმენდავდი

მთელი ოთხი წელიწადი თავი გამომილაყეს და როდესაც სახლში დავბრუნდი, მხოლოდ რამოდენიმე რუსული გინება ვიცოდი. ისიც „დურაკ-საბაკი“.

— მადროვე კაცო მადროვე,—შეაწყვეტინა მეოთხემ. აბა, ვინ იცის, თუ ჩვენი ქაჩალაანთ თევანას სახელი რა არის?

— თევანაა, რა უნდა იყოს—სიცილით უპასუხა ყველამ.

— აი, საქმეც იმაშია, რომ არ იცით. მე და ეს თევანა წაგვიყვანეს სამარყანდში, საქმიდან გამოირკვა, რომ ამ თევანას სახელი „დავთარში“ ფეოდორად ჩაეწერათ. ერთი „ზვოდნი“ რუსი გვყავდა. სიტყვა თევდოროს ვერ წარმოსთქვამდა, როგორც კი მისი გვარის წაკითხვის დრო მოვიდოდა—ენა ებმებოდა და წაილუღლუღებდა-წამოილუღლუღებდა და ხან ტივაროს წაიკითხამდა, ხან ტივტრას, ხან ტივტაროს, ხან ტივნიტოს. ბოლოს როდესაც ნახა, რომ ძალიან წვალობს, სახელი შეუცვალა და ქაჩალაანთ თევანა კოჩალოვი ფეოდორი გახდა.

— მაშ ის საწყალი და უბედური ღანდოთაანთ აკოფა „როტნი“-მ რომ მოჰკლა. ის ალარ იცით?—დაიწყო ლაპარაკი ისევ პირველმა მოსაუბრემ.

— მე და ის ერთ „როტაში“ ვმსახურობდით. უფროსად ერთი გაცოფებული, გამგელებული „როტნი“ კაპიტანი გვყავდა. ეს წინად ფელთფებელი ყოფილიყო და სმაზე ხელს ახლაც არ იღებდა.

ერთ დღეს „როტნი“ გვიბრძანებს მეცადინეობის დროს— .რ.:ა.ზ.. „დელოთ“, „დვაა“ და თან წელში ილვედებოდა. ჩვენც ხელებ მაღლა აწეულნი „რააზ“.—როდესაც გვეტყოდა უნდა წინ გადავხრილიყავით და რამდენიც ეს უბედური სიტყვა „რააზ“ გრძელი იყო, იმდენად წინ უნდა გადმოვხრილიყავით. როდესაც გვეტყოდა კიდევ „დვა“, ახლა უკან უნდა გადმოვხრილიყავით.

ამ აკოფას ცოტა მაგარი წელი ჰქონდა და ვერ იხრიბოდა სწორად. როდესაც „დვას“ ამბობდა მოვიდა „როტნი“ და „სმირნა“-ო, გაისმა ხმა და კვლავ გაგვაგრძელებინეს მეცადინეობა. როტნიმ თვალი მოჰკრა, რომ აკოფას წელი ვერ იხრებოდა, გაცოფებულმა „როტნიმ“ აკოფას შეაგინა და სწორედ იმ დროს, როდესაც ის იხრებოდა „როტნიმ“ წვეტიანი ჩექმით მუცლის სუსტ ადგილას ფეხი გაარტყა. აკოფამ მხოლოდ ერთი ვაის თქმა მოასწრო და იქვე მიწაზე დაეცა. წაიყვანეს საავადმყოფოში და იქ გამოირკვა, რომ აკოფას მუცელი გახეოდა. მისცეს რაღაც წამლები, მუცელი გაუხიეს, გაუკერეს, მაგრამ რაღას უშველიდნენ, კაცი გარდაიცვალა.

„როტნის“ არ აწუხებდა ის გარემოება, რომ აკოფას ორი ობოლი დარჩა.

— კაცო, ვერ შესძელით, რომ ადგილობრივ ჩაგეძაღლებიათ ის ძაღლის შვილი? გაафთრებული შეეკითხა იქვე მჯდომი მოხუცი, რომელიც სამხედრო სამსახურში არ ყოფილ ყო არას დროს.

— რას ამბობ, კაცო, დათვის ქოხის ღელეში ხომ არ იყო ან კიდევ გვერდში ბოლშევიკი ხომ არ გედგა, რომ ის „როტნი“ ჩამეძაღლებინა– დაიწყო თავის მართლება მოსაუბრემ -იმ დროს ბოლშევიკი სად იყო, რომ „ბუნტი“ მოეწყო.

— ჰაი თუ გაწმინდეს ჰაა, სულ მტვერი და ტუტა აადინეს, დღისით ანთებული სანთლით, რომ ეძებო, ერთ კაპიტანს. ან ღენერალს ვერსად ნახავ. ჰაი აფსუს, აფსუს, რომ ეს ბოლშევიკობა ცოტა ადრე არ დაიწყო, ვიდრე ჩვენს ტყავს გასწეწავდნენ,—გაიქნია თავი მესამე მოსაუბრემ. ჩემი „დენშჩიკათ“ ყოფნის დროს მთელი ერთი კვირის განმავლობაში პური არ მიჭამია. რა მაჭმევდა პურს, თუ კი ყოველ დილას ჩვენი „როტნის“ ცოლის საწოლის ქვეშიდან სიბინძურეს ვხვეტდი და ამ სიბინძურის სუნისაგან გულ-მუცელი მერეოდა.

— ფუ-ფუ, დაიწყეს ფურთხვა ყველამ.

— კაცო, რიგიან რამეს ვერ იტყვი, რომ ყველას გული არ აურიო?

— რიგიანი რა მინახავს, რომ რიგიანი გიამბო? რიგიანი რამის თქმა აგერ ჩემ ბიჭს შეუძლიან, წითელ ჯარში უმსახურია, სახლის სინათლესავით მინათებს, ერთი წელიწადი არ იქნება მას შემდეგ, რაც ჯარში წერა-კითხვის უცოდინარი გავგზავნე და ახლა კი თავის ხელით წერილებს მწერს და მერე ისე მწერს თითქოს ძაფზე ასხმული მძივი იყოსო. ახლა მთელი ქვეყნის ავ-კარგი ესმის, გაზეთს ღებულობს და კითხულობს და ზოგჯერაც ჩვენი სოფლის ამბებს გაზეთში თითონ სწერს. აგერ რამდენიმე დღის წინ ამ ჩვენი მდინარის ნაპირას იდგა და თავის ქნევით იძახდა, ეს ამოდენი წყალი რა გამოუსადეგარად მიდისო. თქვენ ამის მნიშვნელობა არ იცითო, გვითხრა. შეიძლებოდა ამ მდინარეზე ელექტრონის სადგურის აშენება და მთელი სოფლის განათებაო. ამოდენი ცოდნა მაშ სად შეიძინა? რასაკვირველია წითელ ბანაკში.

შენ ერთი ამის შვილის ამბავიც დაამთავრე. ჯარში წასვლამდე რა ველური რამ იყო, ცხვირის მოხოცვაც კი არ იცოდა, წავიდა წითელ ჯარში და კაცად იქცა. დაბრუნდა ჯარიდან თუ არა აჯიაქიმის თავმჯდომარედ აირჩიეს, ამას თავი გაანებე, ახლა იკითხავ ვინ მოატანია სეპარატორი? ამისმა შვილმა! სოფლისათვის თესლის საწმენდი მანქანა ვინ მოიტანა?—ამისმა შვილმა! ახალი ჯიშის ქათამი ვინ მოაშენა?—ამისმა შვილმა! ახლაც დამდგარა და იძახის, რომ სოფელში უეჭველად ტრაქტორები უნდა შემოვიღოთო.

ხანდისხან ჩემთავად ვფიქრობ, კაცო ეს ხალხი ჯარში მსახურობს, თუ მათი სამსახური იმაში გამოიხატება, რომ წერა-კითხვა ისწავლონ, ხვნა-თესვის ახალი წესები გაიგონ? კაცო, ამათ ხელში თოფ- არალია, თუ კალამი, წიგნი, რძის საწმენდი მანქანა, ტრაქტორი ან ჯიშიანი ქათამი და ძროხა? ჯარში ჩვენც ვიყავით და ესენიც. ჩვენ პირუტყვივით წავიდოდით ჯარში და ისეთივე უკან დავბრუნდებოდით და ჩვენს გუთანს ვებღაუჭებოდით, ესენი კი ხედავთ მანქანებზე ლაპარაკობენ.

— აი სწორედ იმიტომ იყო რომ, როდესაც ჩვენ ჯარში გაგვიწვევდენ, მთელი სახლ-კარი ტირილ-გლოვას მორთამდა, ჩაერია ლაპარაკში ერთი სხვა. ახლა კი ისა ტირის ვინც არ მიყავთ წითელ ჯარში.

ჩვენ მეფის დროს ყოველგვარ ფანდებს ვხმარობდით, ქრთამებს ვაძლევდით, რომ ჯარში არ წავსულვიყავით, ახლანდელი ახალგაზრდობა კი თუ გინდა შეღავათიც ჰქონდეს და არ ერგოს ჯარში წასვლა, თვითონ მიდის, ეხვეწება, ემუდარება მთავრობას, რომ წაიყვანონ, იმიტომ რომ იციან წითელი ჯარში წასული, სახლში განათლებულ კაცად დაბრუნდება.

გაიხედე აგერ, „ნოვობრანცები“ ქეიფობენ, ახლა მოვლენ და გზას გაუდგებიან, მაგრამ ჰიგნარაანთ ვასილას ბიჭი კი ტირილს და ჩხავილს მისცემია, თითქოს სახლში მიცვალებული ჰყავდეს. ტირის იმიტომ, რომ ჯარში არ მიჰყავთ და სახლიდან გაქცევას აპირებს.

ამ ლაპარაკში იყვნენ სოფლელები გართობილნი, რომ ჯარში გაწვეულების გუნდი ცეკვით და სიმღერით, ზურნის წინამძღოლობით სოფელში შემოვიდა. სოფლის ბავშები გარს შემოხვეოდენ მათ და თავიანთ ბავშურ ცქრიალა ხმით ვაშას დასძახოდნენ.

მთელი სოფელი ქორწილის განწყობილებას მისცემოდა. ჯარში გაწვეულები ჯგუფ-ჯგუფად დაგროვილი კარდაკარ დადიოდენ, ნათესავ-მეგობრებს ემშვიდობებოდნენ, ყველა შემოდგომის მოსავლიდან ზოგი ხილით, ზოგი ჭრელი წინდებით ჯიბეებს ივსებდენ.

სოფლის შუა გულში მოაწყვეს ცეკვა-სიმღერა და თამაშობდნენ. ჯარში გაწვეული ახალგაზრდებს არც მოხუცებულები რჩებოდნენ უკან. ისინიც მათთან ერთად ცეკვავდნენ. ცეკვას რომ მორჩებოდნენ, შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად სიმღერას დაიწყებდნენ.

— ბიჭო, მაროს სიმღერა დაუკარ, მაროსი, გასძახა მეზურნეს ერთმა ახალგაზრდათაგანმა.

მეზურნემ ცეკვის ჰანგი სიმღერის ჰანგზე შესცვალა და ზურნას ბერვა დაუწყო, ერთმა მათგანმა, რომელსაც ყველაზედ კარგი ხმა ქონდა, სიმღერა დაიწყო და დანარჩენებმა ბანი მისცეს.

ჰეი, ბიჭო კომსომოლო,  
წვერ-ულვაშით გამურულო,  
წითელ ჯარში, რომ მიჰყევხართ,  
გოგოს ეშხით განგმირულო,  
წაიყვანე შენი სატრფო  
შავ-თვალ წარბა კოხტა მარო!

ამ ლხენა სიმღერის დროს გორაკის ბოლოდან მოისმა ზურნის მეორე დასტის ხმა.

ეს მეორე სოფლის ჯარში გაწვეულთა ჯგუფი იყო, რომელიც მოდიოდა, რომ შეერთებოდა პირველ ჯგუფს და ერთად წასულიყვნენ ოლქის ცენტრისაკენ.

— აბა ოსტატო დაუკარ-დაუკარ, დაკვრით მივეგებოთ მომსვლელებს, უთხრა ერთმა. ზურნამ ასწია ხმა, დოლმა დააბრახუნა და მიეგებნენ მეორე ჯგუფს.

ვაშაა, გაისმა მოსულების გაერთიანებულ ხმა.

ვააშაა, უპასუხეს მეორეებმა. შეერთდნენ. სიხარულით ზანზარებდა მთელი სოფელი, დიდი და პატარა ყველა კარზე გამოსულიყო, ჩამწკრივებული თამაშს უცქეროდენ.

ზურნამ გამოთხოვებისას ერთხელ კიდევ დაუკრა და ჯგუფი გაემართა ცენტრისაკენ, წითელ ჯარის ბანაკისაკენ.

# ნიკო ავალიშვილი

**(1844—1929)**

22 სექტემბერს დაკრძალეს ძველი საზოგადო მოღვაწე ნიკო იაკობის-ძე ავალიშვილი.

ნ. ავალიშვილი დაიბადა 1844 წელს 4 ივლის და გარდაიცვალა 17 სექტემბერს, 1929 წელს, იგი 65 წელიწადი განუწყვეტლივ მოღვაწეობდა საზოგადო ასპარეზზე, მიუხედავათ ღრმად მოხუცებულობისა (85 წლ. გარდაიც.) სიკვდილამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან და ახალგაზრდული ენტუზიაზმით კვლავ სწერდა და... სწერდა...

განსვენებულს დარჩა ხელთნაწერი „მოგონება“, რომელშიაც ეპოქალური მიუდგომლობით გაშუქებულია 60—70 წლების მოღვაწენი და მაშინდელი კულტურული მუშაობის სიძნელე. აღსანიშნავია წერილები „ქართული თეატრის ისტორიისთვის“, (1867—1880), რომელიც 1909 წლის „დროებაში“ იბეჭდება ფელეტონებად; ეს ძვირფასი წერილები ავტორმა შეასწორა, შეავსო ახალი მასალებით და დაამზადა ცალკე გამოცემისათვის.

ნათარგმნი და დაბეჭდილი აქვს შემდეგი წიგნები: სერვანტესის „დონ-კიხოტი“ 1906 წელს დაიბეჭდა (მეორე ნაწილი ხელთნაწერად დარჩა); მასსეს „ლუკმა პურის ამბავი“ (1895 წ.); იური ყაზბეკის „ჩერქეზული გადმოცემა ანუ სამშობლოსთვის თავის დადება“ (1896 წ.) ეს უკანასკნელი ნაწარმოები ძლიერ ჩამოგავს „სურამის ციხეს“, სოფიო ურბანკოვსკის გახმაურებული სოციალური რომანი: „თავადის ქალი ანუ შრომა და ფუფუნება“ (1896 წ.); ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ (ეს პიესა სამჯერ ითარგმნა: პირველად სთარგმნეს: კოტე მესხმა და გრ. ყიფშიძემ), ი. ბოლეს: „დარიგება აბრეშუმის ჭიის



ნიკო ავალიშვილი

66-70 წლების საზოგადო მოღვაწე, პირველი რეჟისორი, კლასიკების მთარგმნელი და სპეციალობით აგრონომი. გარდაიცვალა 85 წლის მოხუცი, 1929 წ. 17 სექტემბერს.

აღზრდაზე“ (1895 წ.) და შრომის: „რქოსანი საქონლის მოვლა მოშენება“.

ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულია მის მიერ ნათარგმნი შილერის ხუთი დრამა: „ვილჰელმ ტელი“, „ფიესკოს შეთქმულება“, „ყაჩაღები“ (ცალკე წიგნად გამოსცა: მ. გაჩეჩილაძემ 1912 წელს) „მარიამ სტიუარტი“ და „იოანნა დ, არკი“.

„ნათარგმნი და დამზადებული დარჩა და საბეჭდად: სენკევიჩის რომანი: „ვიდრე ხვალ უფალო“ და საკუთარი გამოკვლევა: „საქონლის მოვლა მოშენება საქართველოში“.

იგი იყო რედაქტორი ჟურნალ „მნათობისა“, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში გამოდიოდა (1869—1872 წ.). იგი თანამშრომლობდა სერ. მესხის „დროებაში“, გ. წერეთელის „სასოფლო გაზეთში“ (რედაქტორის თანაშემწეთ იყო); სულხანიშვილის „მეურნეში“ და სხვ.

მისი ინიციატივით (1878 წ.) საგარეჯოში გაიხსნა კოოპერატიული ამხანაგობა, რომელსაც ხალხმა „დეპო“ დაარქვა.

14 წლის განმავლობაში (1967—1880) ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს და გ. ერისთავის და ი. კერესელიძის შემდეგ ითვლება თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად და პირველ რეჟისორად.

დიდია და ვრცელი ნ. ავალიშვილის მოღვაწეობა. მაგრამ აქ ჩამოთვლილ ნუსხიდანაც ნათლად სჩანს, თუ რა უანგარო და ჩუმი მოღვაწე იყო განსვენებული.

**გრი—**

# ვარსკვლავთმრიცხველი

უშველებელი მრავალთვალებიანი ლითონის ჭიანჭველა აღმართულა ფოლადის საძირკველზე დიდი დარბაზის შუა ადგილას. შავი ხავერდის სიჩუმეში ის რაღაც საზარლად გამოიყურება, თითქოს მენიზეის ეპოქის ნაშთი. თვალები დიდრონი, პატარეები და სულ პაწიები. დისკოები და სახელურები ერთი მეორეში გადახლართული კონსტრუქტორის ფანტაზიით, აი ყველაფერი ის რაც შეუძლია ადამიანს შეამჩნიოს პირველ ნახვისას. ეს არის ვარსკვლავთმრიცხველი— პლანეტარი.

დარბაზი, სადაც მოთავსებულა პლანეტარი დანიშნულა ლექციებისათვის ატრონომიიდან. კათედრის იმ ადგილს სადაც ჩვეულებრივი ჩარჩოებია წიგნებისათვის, მოთავსებულა ათას გვარი ამომრთველები და სახელურები, რომლებსაც ქვეშა აქვს წარწერები „მერედიანი“, „პოლიუსის სიმაღლე“, „მზე“, „ვარსკვლავები“, „წელიწადი—ერთი წუთი“ „წელიწადი—შვიდი წამი“, და სხვ.

პლანეტარი წარმოადგენს 119 საპროექციო ფანარის კომბინაციას. ვარსკვლავთა პროექციისათვის—32 ფანარი, პლანეტების და სხვა მნათობთათვის—38 და დამხმარეები—49. ეს სისტემა იძლევა ეკრანზე—თაღზე 5.400 წერტილის—ვარსკვლავების, პლანეტების, მთვარის, მზის, რძის გზის—გამოსახვას. ასტრონომიის მიერ დამტკიცებული კანონები აქ მოქცეულა ინჟენერიის რკინის ფორმულებში.

პლანეტარის ყოველი ნაწილი მისი მოქმედების დროს გადაინაცვლებს ისე, როგორც მოძრაობენ სინამდვილეში ცის მნათობები. აქ სჩანს არა მოგონილი, ხელოვნურად შექ ნილი, არამედ დიდი ოსტატობით აღდგენილი სამყარო. პლანეტარის განმანათლებელი მნიშვნელობა დიდია. მისი საშუალებით, ყოველ ადამიანს, რომელ სიგრძედში და სიგანედშიაც არ უნდა სცხოვრობდეს ის, შეუძლია შეისწავლოს ცის თაღი სურვილისამებრ—სამხრეთის, ჩრდილოეთის, ეკვატორის და პოლიუსის, როგორი იყო ის ასეული წლის წინად და როგორი იქნება რამდენიმე ათასი წლის შემდეგ. რელიგიურ ცრუმორწმუნოების, ბიბლიის ლეგენდების გავლენას პლანეტარი სპობს თავისი თვალსაჩინო მოქმედებით. ათეული ათასი მუშა და გლეხი გამოვა აქედან „ულმერთობის“ სენით დაავადებული.

მეტად საინტერესოა ლექციის მოსმენა. ლექტორი და მექანიკოსი იკავებენ თავთავიანთ ადგილს. მოკლე ცნობა თანამედროვე ასტრონომიის ისტორიიდან. ეკრანზე აღიბეჭდება შუა საუკუნეების ხალხთა წარმოდგენა სამყაროს სისტემაზე. და შემდეგ სიბნელე — უკუნეთი. ასეთი სიბნელე იცის, ალბად, ეკვატორთან აფრიკის ქვიშიან უდაბნოში. სადღაც გაისმის ამომრთველის ტკაცაი, მოტორის გუგუნი და იმ წამშივე მსმენელთა თავზე აინთება ცის თაღი აუარებელი ვარსკვლავებით. დიდი ჯაოცების შემდეგ ვარსკვლავებში იცნობ დიდი დათვის, პატარა დათვის ჯგუფს, პოლიარულ ვარსკვლავს და სხვ. პირველად ცა თითქოს უძრავია, მაგრამ შემდეგ შეამჩნევ, თითქოს იატაკი დაქანდა და შენთან ერთად მისცურავს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მხოლოდ რამოდენიმე წუთის შემდეგ გაარჩევ, რომ ეს ვარსკვლავთა სისტემა მოძრაობს, როგორც წესია, აღმოსავლეთიდან-დასავლეთით. კიდევ ტკაცუნი და ცაზე ამოგორდება მთვარე და გაივლის მთელ მანძილს სრული სახიდან ნამგლისებურამდე, აგერ მზეც (პირობითი, რომ არ დაჩრდილოს ვარსკვლავები) აკეთებს თავის გზას, რთულ გზას ასწერს მარსი... ყველაფერი კანონზომიერ მოძრაობაში და მკაცრ სიდიადეშია.



პლანეტარი, აგებული მოსკოვში, რომელიც წარმოდგენას იძლევა ვარსკვლავთა სისტემაზე.

ცაზე მოუსვენრად დარბის ისარი, რომელიც შველის ლექტორს თვალსაჩინო გახადოს ლექცია. მისცურავენ დღეები, ღამეები, თვეები, წლები. მრიცხველი აჩვენებს 1932 წლის 30 აგვისტოს. ცა ნელა ქრება, რძის გზა ჰქრება, ვარსკვლავები ოდნავ ციმციმებენ, რძის მაგვარი ჯანღი ედება დედამიწას, აღმოსავლეთზე აენთო ახალი დღის სხივები და ნაადრევი ფრინველი ფრთხიალებს ახალ დღის შესახვედრად.... მაგრამ აქ არც ჯანღია, არც ფრინველი. ეს მხოლოდ განთიადის ილიუზიაა, მხოლოდ მექანიკა, მხოლოდ ოპტიკა. რაც უფრო ძლიერია შთაბეჭდილება, რაც უფრო რეალურია ხელოვნური განთიადი, რაც უფრო ძლიერია „მოტყუება“, მით უფრო ცხადია, რომ მეცნიერება საბოლოოდ ახდის ფარდას ათასი წლების სიცრუეს და არა მარტო მისცემს მშრომელ მასას სამყაროს ნამდვილ ცოდნას, არამედ დაეხმარება კიდეც მის ახალ საფუძვლებზე გადაკეთებაში.

# ბორჯომის მინერალური წყლის ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს კურორტ-სამმართველოს ნახშირმჟავის ქარხანა ბორჯომში და მანქანა, რომლითაც ბორჯომის წყალს ასხავენ ბოთლებში. აშენებულია 1929 წელს.





ბორჯომის მინერალურ წყლის ავტომატიურად ბოთლებში გადამსხმელი მანქანა. დღეში ამზადებს 3.000 ბოთლს.
მუშების ჯგუფი და დირექტორი ამხ. ვ. ი. ლანგამერი.



# ფიზკულტურა და სპორტი

## სპორტ-თამაშობათა შემოდგომის სეზონი



მელითონეთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდი.



ფიზკულტურის ინსტრუქტორი ქალები.







ფიზკუ"ტურელები მეცადინეობაზე.





წყ ლზე და ტენისზე მოვარჯიშენი.





ფიზკულტურელები ექსკურსიაზე.

წელს სპორტ-თამაშობათა შემოდგომის სეზონი თბილისში დაგვიანებით დაიწყო. სეზონის გახსნას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა, რაც თავდებია იმის, რომ შემოდგომის პირველობის გათამაშება საინტერესო იქნება.

წრევანდელი სეზონი მდიდარი იქნება მონაწილეებით. პროფკავშირებთან ერთად საქალაქო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს პროლეტარული სასპორტო საზ-ბა „დინამო". პირველობის გათამაშება წელს ახალი სისტემით იწარმოებს. პირველობა მიეკუთნება არა ერთ რომელიმე გუნდს, არამედ ორგანიზაციას, რომელიც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს ყველა გუნდებში ერთად.

ასეთი სისტემა საგრძნობლად წასწევს წინ სპორტის განვითარებას თბილისში, რადგან ორგანიზაციები იძულებული იქნებიან ყურადღება მიაქციონ უნცროს გუნდებსაც, ვინაიდან ხშირად პირველობის ბედი სწორედ ამ გუნდების მიერ მიღწეულ შედეგზე იქნება დამოკიდებული.

ასეთი სისტემა დიდი ხანია შემოღებულია მოსკოვში და ლენინგრადში, სადაც თვითეული ორგანიზაცია და კლუბი პირველობის გათამაშებაში გამოდის ხუთ-ხუთი გუნდით (თვითეულ მათგანს გაცილ.ბით მეტი გუნდი ჰყავს, მაგრამ სათვალავში მიიღება მხოლოდ პირველი ხუთი გუნდის მიერ მიღწეული შედეგი).

თბილისში, რასაკვირველია, გუნდების რიცხვი გაცილებით ნაკლებია. მაგრამ; წელს აქაც შესაძლებელი იქნება ორ-ორი გუნდის გამოყვანა თვითეულ ორგანიზაციიდან. ასე, მაგალითად, ფეხბურთის პირველობის გათამაშებაში ორი-ორი გუნდით გამოვლენ საზ-ბა „დინამო", მელითონეთა, ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა და კომუნალურ მუშაკთა კავშირები და სახელ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.

წელს განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული დისციპლინის განმტკიცებას მოთამაშეებში. წარსულში ხშირი იყო გინების, ცემის და სხვა ხულიგნური გამოსვლების შემთხვევები. მიმდინარე სეზონში მიღებული იქნება სასტიკი ზომები ამ მახინჯ მოვლენათა აღმოსაფხვრელად. პირველობის განაწილების დროს მხედველობაში მიღებული იქნება დისციპლინარული მხარეც. შეიძლება გუნდმა ტეხნიკურად საუკეთესო შედეგებს მიაღწიოს, მაგრამ თუ დისციპლინის მხრივ მასში ყველაფერი რიგზე არ არის, ასეთ გუნდს პირველობა არ მიეკუთვნება.

---

ფეხბურთის სეზონი წელს საინტერესო იქნება არა მარტო მასში მონაწილე ადგილობრივ გუნდების სიმრავლით, არამედ იმითაც, რომ განზრახულია მთელ რიგ საქალაქთაშორისო შეჯიბრების გამართვა.

ასე, მაგალითად, საზ-ბა „დინამო"-ს გადაწყვეტილი აქვს თბილისში მოიწვიოს მოსკოვის, ხარკოვის და კიევის „დინამო"-ს გუნდები. აღნიშნული გუნდებიამ ჟამად უძლიერესი გუნდებია მთელ საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებით გაძლიერდა კიევის „დინამო", რომელმაც უკანასკნელად მოსკოვის „დინამო"-საც კი მოუგო. სხვათა შორის კიევის „დინამო"-ში თამაშობენ შულცი და პეჩიონნი, რომლებიც წინედ თბილისის „დინამო"-ში იყვნენ. (აღსანიშნავია, რომ თბილისის ხარჯზე წელს გაძლიერდა აგრეთვე დნეპროპეტროვსკის „დინამო", სადაც თამაშობენ ა. ჟორდანია და გ. ვაჩნაძე).

თბილისში რამდენიმე შეჯიბრებას გამართავენ აგრეთვე ამიერ-კავკასიის „დინამო"-ს ნაკრები გუნდი, რომელშიაც შედიან საუკეთესო

მოთამაშეები თბილისის და ბაქოს „დინამო“-დან. აღნიშნული გუნდი ამ ზაფხულზე მოგზაურობდა რუსეთში და უკრაინაში, სადაც ყველგან წარმატებით გამოდიოდა.

საქართველოში, თბილისს გარდა, ძლიერი გუნდები ჰყავს ბათომს, ფოთს და სოხუმს. განზრახულია მათი მოწვევაც როგორც „დინამო“-ს, ისე პროფკავშირების ხაზით.

—

სპორტთამაშობათა დანარჩენ დარგებიდან პირველობის გათამაშება იწარმოებს კალათბურთში, ჩოგბურთში, (ტენისი) და ფრენბურთში. ყველა ამ დარგებში ვაჟების გუნდებთან ერთად არსებობს ქალების გუნდებიც.

კალათბურთში და ჩოგბურთში თბილისს ჰყავს საკმაოდ ძლიერი გუნდები, თბილისელი ჩოგბურთელები უკანასკნელად გამოდიოდნენ ხარკოვში, სადაც იქაურ გუნდს მოუგეს 9 : 2.

საქალაქთაშორისო შეჯიბრების გამართვა განზრახულია ჩოგბურთშიაც. ფიზკულტურის თბილისის საბჭომ და პროფსაბჭოს ცენტრ. ბიურომ თბილისში მოიწვიეს მოსკოველი ტენისისტთა გუნდი (სამი ვაჟი და ერთი ქალი), რომელიც ჩამოვა ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. გუნდი თბილისში გამართავს ორ შეჯიბრებას.

არის კიდევ სპორტის ერთი დარგი, რომელსაც აქამდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ამ დარგს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მშვიდობიან დროს, ისე ომის პირობებში. ეს არის მოტო-ველო სპორტი. თბილისში არსებობს მოტო-ველო საზოგადოება, რომელიც ენერგიულად შეუდგა სპორტის ამ დარგის განვითარებას. სისტემატიურად ეწყობა შეჯიბრებები და გადარბენა ცოტათ თუ ბევრად შორეულ მანძილზე. თბილისის მოტო-ველო სპორტსმენებს აქვთ მთელი რიგი ბრწყინვალე მიღწევები. ზოგიერთ მათგანს ამიერ-კავკასიის რეკორდიც კი აქვთ დამყარებული. ამ მიმართულებით მუშაობა იწარმოებს შემოდგომის სეზონშიაც.

**შ. ბ.**







1) სიმონ ჯაფარიძე მყინვარზე ასვლის დროს; 2) თეთნულდი, სადაც დაიღუპნენ ამხ. პიჰენ დვალი და ს. ჯაფარიძე. 3) მონადირეები, რომლებმაც იპოვეს სიმონ ჯაფარიძის გვამი.

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე**

# სალეწაოზე

## (წიგნიდან „ახალი გლეხები“)

ოთხასი ფუთი ხორბალით დატვირთული ვაგონი ღრჭენით და ხრიალით შემოაგორა ტრაქტორმა ეზოში;

— შაქრო!—გადმოსძახა ტომრებზე წამოსკუპებულმა ახალგაზრდამ:—სად გადმოვცალოთ?

შაქრო—კომუნის თავმჯდომარე, საშუალო ხნის და ტანის გლეხი, დაფიქრდა; თვალები ეზოს მოავლო, უნუგეშოთ ჩაიქნია თავი და ღიმილით მომიბრუნდა:

— პურმა და ბავშვებმა გამოგვრეკა ბინებიდან; ღამე თივებში და სახურავებზე ვიძინებთ; ბინებზე ისედაც ვიწროდ ვიყავით; საბავშო ბაგა გავხსენით, ერთი შენობა მას დაუთმეთ; რაც დაგვრჩა, პურმა წაგვართვა; მოდის და მოდის; აღარ ვიცით სად შევინახოთ! ოცდაათიათასი ფუთი უნდა მოვიდეს ჩვენი ანგარიშით; ჯერ ნახევარი არ შემოგვიტანია—ოთახები და სარდაფები უკვე გამოიტენა;

პური და ბავშვები... წელს კომუნაში ორივე ბევრია, მაგრამ პირველმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა;

— ეგეთი მარცვალია — ცქერითაც გაგაძღებს!

ჩამილაპარაკა მოხუცმა, მარცვლები თითებით მოსრისა, ხელის გულზე გაშალა და დიდხანს უცქერდა გასუყებული თვალებით;

უზარმაზარი ვაგონი სწრაფად გადმოტვირთეს ღონიერმა ახალგაზრდებმა; ექვს ფუთიან ტომრებს, ბალიშივით მჩატედ შეიგდებდენ მხრებზე და ყოველთვის ისეთი. ღიმილით გადმომხედავდენ თითქო დამცინოდენ, მიცოდებდენ, სანამ რამდენიმე ტომარა მათზე არა ნაკლებ სისწრაფით არ შევარბენინე ოთახში; მართალი გითხრათ, მესმე ტომარამ ცოტა კი წამაბარბაცა, მაგრამ უკან არ დავიხიე და ქალაქელები „სირცხვილს გადავარჩინე“.

ვაგონი სალეწაოსკენ გაბრუნდა; ჩვენც გავყევით; მიხრიალებს მინდვრებზე ტრაქტორი, მარდად ხტებიან მეურმეები კოფოდან და აჩერებენ მანქანის ხმაურით დაფეთებულ საქონელს: შავი და ფხვიერი ნიადაგი დაუხეთქავს გოლვას; ორი თვეა, ღრუბელის ჩრდილიც არ მიჰკარებია შირაქის მინდვრებს, მაგრამ იმდენად ნოყიერია მისი ნიადაგი, რომ გაზაფხულზე მოცემული ბალახი, კვლავ ამოხეთქილა და იღლიამდე ურტყამს კაცს; მეორეჯერ იცვლება: შირაქი საქართველოს კანადაა. მიუხედავათ იმისა რომ სავსებით მოკლებულია ხელოვნურ რწყვის ყოველგვარ შესაძლებლობას, მიუხედავათ იმისა რომ რამდენიმე ათეულ ვერსზე წყაროს ნასახსაც ვერ იპოვით და ნათესების მორწყვა დამოკიდებულია ცის „მეხსიერებაზე“ და „ხასიათზე“, შირაქი ჰექტარზე საშუალოთ, 100—120 ფუთ ხორბალს იძლევა;

— არხი რომ უდგებოდეს გაგიჟდება შირაქი; ას სამოცი ფული? ეგ რა არის, ჰექტარზე მეტიც მოვა!—გულდაწყვეტით მითხრა თანამგზავრმა: წყალი აკლია მიწასაც და მიწის მუშებსაც; სოფლიდან ოთხი ვერსის მოშორებით, ხევში გამოდის ორი წყარო, რომელთაგან ერთი უვარგისია სასმელათ; რამდენი მუშა ხელი, საქონელი და დრო უნდა გაცდეს—ორას სულიანმა კომუნამ რომელსაც, რამდენიმე ასეული თავი საქონელი ყავს, რომ წყლის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს!? ხუთწლიან გეგმაში შეტინილია წყალსადენის გაყვანა; წყალსადენი შირაქში... ამაზე დიდი საოცნებო საგანი ჯერ არ ქონია შირაქელ გლეხს;

რამდენიმე ვერსის შემდეგ მინდორზე გამოჩნდა მტვერი; უახლოვდებით სალეწაოს;

გუგუნებს სალეწავი მანქანა; სქელ მტვერში მკრთალათ მოსჩანს მისი წინა ნაწილი, საიდანაც მოცვივა გალეწილი ძნა; პირახვეული ქალები ფუსფუსებენ მტვერში, ხვეტენ ჩალას და ცხენებით გააქვთ მინდორზე, აგროვებენ რამდენიმე ადგილზე და სწვავენ ლეწვის გათავების შემდეგ;

— თივაც ბევრი გვაქვს!

მიპასუხა ერთმა როცა შევეკითხე! საქონლის ასეთ მშვენიერ საკვებს, რატომ ანადგურებთ მეთქი;

სად ხარ იმერელო! საკმარისია მეზობლის ხარმა ჩალის ერთი ღერი მოგიჭამოს ყანაში რომ კეტებით დაერიოთ ერთმანეთს;

რამდენიმე ურემს რიგ-რიგობით მოაქვს მანქანისათვის ძნები, რომელსაც ფიწლებით აწოდებენ მანქანის თავზე მდგომ ქალებს; ქალების შუა მდგომარე მიმწოდებელი ქალების მიერ გახსნილ ძნებს აწოდებს მანქანის პირს; საშინელი სისწრაფით იტაცებს მანქანა თავთავს; პური ილეწება, მარცვალი მანქანაშივე ხარისხდება და ჩხრიალით იყრება მანქანაზე ჩამოკიდებულ ტომრებში; ისეთი დიდი სამუშაო დღის წყალობით

რომელიც შემოღებულია ზემო-ქედის კომუნაში, ერთი მანქანა დღეში ლეწავს ათას—ათასორას ფუთ ხორბალს;

იშვიათად მინახავს ისეთი გლეხი რომელსაც არ დაეწყევლოს თავის გაჩენის საათი მინდვრებში მუშაობის დროს; რა გინდ დიდათ არ გიყვარდეს საქმე, ბოლოსდაბოლოს მაინც შეგძაგდება, თუ მისი კეთების პირობები უხეშია და მძიმე;

თუ შრომა არ გიყვარს, მაშინ ვერას დროს ვერ დააღწევ იმ ძლიერებას, რომელიც ჩამარხულია შენში; ვერ წარმოიდგენ იმ გამარჯვებისათვის არსებობას დიადობას, რომელიც მოგიპოვებია შენ ბრძოლაში; ოთხათ მოკეცილ, წელმოწყვეტილ, ნამგლიან გლეხს არ შეიძლება უყვარდეს შრომა; ეს მხოლოდ რომანტიულ წიგნებში ხდება. კულტურის სიმაღლე პირდაპირ დამოკიდებულებაშია შრომის სიყვარულთან; მანქანა — კულტურა და გლეხის სიყვარული შრომისადმი— იწყება მის მეურნეობაში მანქანის შემოსვლით; მანქანა ანთავისუფლებს შრომის ველურ ძალდატანებისაგან; კომუნარებმა ისე ამოავსეს სალეწაოზე 18 საათიანი სამუშაო დღე, რომ ზოგიერთებმა შეცვლაც არ მოისურვეს; მათ შუბლზე წამითაც არ შეყრილა ის ნაოჭები რომელსაც აჩენს მარტოხელა უნაყოფო და უხალისო შრომა;

ხალისიანათ და თავდადებულათ მუშაობენ კომუნარები;

— ჯერ სოფელს მკაც არ მოუთავებია, ჩვენ აი ხვალ-ზეგ ლეწვასაც მოვრჩებით და სახნავათ გავალთ!

ერთი თვეა რაც მინდვრებში გამოვიდა ნახევარი კომუნა,—კაცები, ბავშვები, ქალები ქვეშ საგებით და სურსათით; ერთი თვეა მუშაობენ და ჯერ ერთიც არ გაბრუნებულა დასასვენებლათ; მანქანა ადვილებს შრომის პროცესებს; მანქანამ არ იცის რთული და მარტივი, მძიმე და მსუბუქი სამუშაო; აგერ სალეწავი; საჭიროა ხელების მცირეოდენი გავარჯიშება რომ ყველამ, ქალმა და კაცმა, ახალგაზრდამ და მოხუცმა, შესძლოს მასზე ყოველნაირი სამუშაოს შესრულება; გუგუნებს მანქანა და მთელი სალეწაო მოქმედობს მწყობრათ, შეუფერხებლივ, შეუჩერებლივ, როგორც—ცოცხალი კონვეიერი;

სალამოვდება; ხანძარივით მოედო ტატნობს ჩამავალი მზე. ბინდი სწრაფად შეიცვალა მხურვალე და მძიმე ღამით; შეურხეველ ჰაერის სიმძიმეს და მხურვალებას ისე კონკრეტულათ ვგრძნობ, როგორც სიცხეში ტანისამოსს; ასე გრძელდება რამდენიმე წამს; გრილი, მიწისა და ბალახების სურნელით გაჟღენთილი ნიავი გამოიჭრა სიბნელიდან და ტალღასავით გადამევლო სახეზე; ნაპირზედ გამოგდებულ თევზივით ფართედ ვაღებ ყბებს და ვცდილობ რაც შეიძლება ბლომათ შევისუნთქო წამით ატორტმანებული ნიავი; შეირყა მაღალი ბალახი, აშრიალდენ, აჩურჩულდენ ჩალისა და ძნების ზვინები ღრუბლებმა დამალა წამით გამოჩენილი მთვარე. კომუნარებმა, რომლებიც მთვარის შუქზედაც აპირებდენ მუშაობის გაგრძელებას, შესწყვიტეს მუშაობა:

— ვაიოოო!. გულშესაწუხებლათ აგრძელებს ახალგაზრდა ქალი ცრემლებით შესველებულ ხმას:—საქონელი გაიფანტა, ცხ ნი სიმინდში გაპ რულა... მომეშველე... თავი ვერ მოუყარე;

შორით ბრიალობს მეხრეთა კოცონი;

ჯერ კიდევ ხმაურობს და ფუსფუსებს სალეწაო; უკანასკნელი ვაგონი დატვირთეს; ტრაქტორისტებმა მანქანები გასინჯეს, საწვავი მასალით გაავსეს და სახვალიოთ გაამზადეს; დაიბანეს ხელპირი... დასუფთავდენ;

— კობაი ჯერ კრება გავხსნათ თუ ვახშამი ვჭამოთ?

— კრება აჯობებს; ხელები მოგელალათ... ბარემა ენაიც მოვლალოთ! ვახშამი უფრო ტკბილათ შევექცევით;

მოათრიეს ერთად ერთი გრძელი სკამი; თავმჯდომარე დაჯდა. მდივანმა ფეხი მოირთხა მიწაზე და როგორც მაგიდას, მიუჯდა სკამს; კომუნარები მოთავსდენ მოშორებით; ზოგმა ფეხი მოირთხა, ზოგი წამოწვა, ზოგიც ტომარაზე ჩამოჯდა; ბავშვები ურემზე აცოცდენ და ყველანი სმენათ გადაიქცენ; სიჩუმეს არღვევს დიდრონ კალიების მძიმე და მოწყვეტილი ხტომა და გამოუცნობი წივილი, რომელსაც ბადებს დიდათ გაშლილი ველი;

—

რამდენიმე დღის წინათ, კომუნაში ჩემთან მოვიდა ჯმუხა, წარბშეკრული ახალგაზრდა, ყოფილი მოჯამაგირე—გვარათ ჩქარეული; იეროგლიფების მსგავს ასოებით შევსებული ორი პატარა რვეული მომიტანა;—ლექსებია!—მითხრა დარცხვ-ნით და მთხოვა მომესმინა;

მთვარიანი ღამეა, მხიარული ცეცხლი, მწყემსები და სალ-მური... სიმღერა და შაირი... მხიარულება და უდარდელობა... სატრფოზე ოცნება... ასე სწერდენ მწყემსების შესახებ; მეც დაახლოვებით მგვარივე სურათებს გადამიშლიდა მეგონა ის ორი რვეული, რომელსაც კანკალებდა ახალგაზრდის თითები;

არაფერი ამის მსგავსი; მისი რვეულები— ეს იყო მძლავრ- პროტესტი იმ წარსული უკუღმართ ცხოვრების და ხალხის წინააღმდეგ, რომლებმაც ის თვისებები და პირობები, რომელთა საშუალებით ჩვენ ვიტარებთ ადამიანის სახელს, წაართვეს მოჯამაგირეს და გარდააქციეს მონათ; წარსულში მოჯამაგირე—იგივე ორფეხა ქოფაკი იყო, მხოლოთ იმ განსხვავებით რომ ქოფაკს ყოველთვის შეეძლო დაყეფა, მოჯამაგირეს კი მხოლოთ მაშინ უნდა ამოეღო ხმა, როცა შეეკითხებოდენ რამეს; უსმენდი ჩემს ტოლს; მისი წარსული მთლიანათ შავია და უსახო, როგორც ღამე; ერთი, ერთი ნათელი წერტილი მაინც იყოს შიგ; ერთი გულგასახარელი მოგონება მაინც წამოცდეს; არაფერი; წარსული მას ისეთ უსიამოვნო გრძნობას ჰგვრის, თითქო გველი შეეცოცებოდეს მკერდზე;

გამოიცვალა ქვეყანა; არიხილოს კომუნის ეზოში, სუფთა და ლამაზი საერთო საცხოვრებლის წინ, შეამჩნევთ მიწაში ნახევრათ ჩაფლულ ბნელსა და ნოტიო გომურს; კომუნის საერთო ფონზე ეს გომური ისე ზედმეტად და არა-სასურველათ მოგეჩვენებათ, როგორც მშვენიერ და ნათელ ფერებით დახატულ სურათზე, დაცემული ტალახი;

— ყველა გომურები დავანგრიეთ; ეგ ერთი კი განგებ დავტოვეთ... დე, ამ გომურმა გარედან მოსულს დაანახოს, შინ დამხვდურს კი ყოველ წამს მოაგონოს, სად ვცხოვრობდით და საიდან გამოგვიყვანა რევოლიუციამ...

მითხრა კომუნარმა;

როგორც სიტყვა დაცინვა, როგორც მწვავე ირონია, ამართულია გომურის პირდაპირ საერთო საცხოვრებელი; მაგრამ არის ადგილი, სადაც ასეთი გომურებიც ენატრება ლეხებს; მთებში კულაკები, ჯერ კიდევ ორ ცხვარზე აძლევენ „სიჩუქრათ" იმ ადამიანებს, რომელნიც ყინვაში და წვიმაში, ნახევრათ მშიერ-მწყურვალნი, ჩამოხეულნი და ჭუჭყით შემჭულნი, 365 დღედაღამის განმავლობაში წყესენ და უვლიან, ჰკრეჭენ და წველავ-ნ რამდენ-მე ათას სულიან ფარას;

მთელი ზაფხული მთაში გავატარე; მეცხვარე მოჯამაგირეთა არტელი გვინდა დავაარსოთ; მრავალი დავით-ნხმე, მაგრამ საქმე აკი ვერ მივიყვანე ბოლომდე; შიშობდენ; ჩვენი ხალხი ეგეთია, თუ პრაქტიკულად არ უჩვენე საქმის სიავკარგე, ვერ დასძრავ ადგილიდან; ეხლა მთავრობა 25 ათას მანეთს დაგვპირდა სესხათ: ამ ფულით ცხვარი მინდა ვიყიდო; ცხვარი გვეყოლება—კულაკებსაც ადვილათ წავართმევთ მოჯამაგირეებს, ღარიბების ცხვარსაც შემოვიერთებთ და არტელებსაც ადვილათ დავაარსებთ; ცხვარის ირგვლივ დაირაზმება პროლეტარები, დედას უტირებენ კულაკებს! ე კრებაც ამისთვის მოვიწვიეთ; სესხის აღების და ცხვარის ყიდვის დასტური მინდა;

კრების დაწყებ სას კობას მცირეოდენი აღელვება დაეტყო; დაეჭვდა:—იქნებ უარყოს კომუნამ ჩემი წინადადებაო! ...კომუნაში ბინების საშინელი კრიზისია; კომუნარები დღეს თუ ხვალ დაიწყებენ 40 ოთახიანი საერთო საცხოვრებელის აგებას;

მთელი ენერგია, ყველა თანხები და საშუალებები საამისოდ უნდა გამოიყენონ, რომ შენობა დაზამთრებამდე მოთავდეს და ხალხი გარეთ არ დარჩეს; ეხლა კი ერთბაშათ ასეთი დიდი საქმის წამოწყება... მასთან დაკავშირებულ სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვა... დასთანხმდებიან... დაუჭერენ მხარს?! შინ ხალხი ნახ ვრათ ტიტველია, ღამის გასათევი ჭერიც კი არ მო-ძებნება ყველას! სად არის მოჯამაგირეებზე ფიქრის და ზრუნვის შესაძლებლობა!?

ნელი და დამაჯერებელი ხმით ილაპარაკა კობამ კრების წინ; ...ცხვარით ახალ მეურნეობას დავიწყებთ; შესაძლებელია პირველ წლებში დიდი სარგებელი ვერ ვნახოთ, შეიძლება კიდეც ვიზარალოთ—მაგრამ განა მარტო სარგებლიშია საქმე!? თქვენა კ-რგათ იცი-თ, ჩვენ კომუნის ავანგარდი ვ-რთ, შეგნებ-ულები! ჩვენი ვალია მოჯ-მაგირეები დავრაზმოთ და დავიხსნათ კულაკების ბრჭყალებიდან; ცხვარით შევსძლებთ ამას! როგორ მოვიქცეთ, რას იტყვით?

ჩამოვარდა სიჩუმე;

— მართალია, ი ბიჭები ძალიან ბეჩავად არიან;

წყნარათ, თითქო ეშინია სიჩუმის დარღვევაო, ჩაილაპარაკა ერთმა.

— ჩვენაც ძალიან მონატრული კი ვართ იმ ცხვარზე!

დაუმატა მეორემ;

ორი-სამი სიტყვა სხვებმაც ამოიღეს, მაგრამ ეგრე ხანტად, თითქო უხალისოდ, რომ სანამ მაღლა-აწეულმა ფარანმა დინჯათ აწეული მკლავები არ გამოაცურა სიბნელიდან, სანამ მდივანმა არ ჩაილაპარაკა—მიღებულია ერთხმათო—მე მეგონა უარყოფდენ კობას წინადადებას;

როცა ეს უთხარი კობას, მან მომიბრუნა ჩემი სიხარულით და კმაყოფილებით განათლებული სახე და ეშმაკურად ჩაიცინა.

— ადგილიდან რომ არ წამოიჭრენ და არ აყვირდენ მაგარ-მაგარი სიტყვებით და ფიაფუხით, მისთვის ლაპარაკობ არა? კომუნარებმა ეგენი არ იციან სადაც ბევრს ლაპარაკობენ და ჰყვირიან იქ ცოტას აკეთებენ; კომუნარი ორ სიტყვას იტყვის, სამაგიეროთ ორივეს შეასრულებს, მაშა!

ვახშმად დავჯექით.

-ჩინარი მწერებით და სულდგმულებით აწივლებული ღამე კონუსივით ადგია-შირაკს.



ჰაეროპლანმა „პიონერის სიმართლემ" შემოიფრინა საბჭოთა კავშირი 5 საათსა და 10 წუთში. იგი გაკეთებულია საბჭოთა კავშირში ამხ. იაკოვლევის კონსტრუქციით.

# სხვადასხვა ცნობები

**— მოძრაობა პალესტინაში.** პალესტინაში არაბებმა ებრაელების ხოცვა-ჟლეტა გამართეს იერუსალიმი, ჰებრონი, ტელ ავივი ნამდვილ ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. ურთიერთობის გამწვავებელნი არიან ინგლისელები, რომელთაც სიონისტური მოძრაობა გააძლიერეს მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ტრანსიორდანესა და ირაქში. მაგრამ სიონის ფეხის მომტკიცება მეტად ძნელი იყო, ვინაიდან უმრავლესობას არაბები შეადგენდენ. რამდენადაც გაძლიერდა ებრაელების კოლონიზაცია ხსენებულ ადგილებში, იმდენად უფრო შეშფოთდენ არაბები. ინგლისის იმპერიალისტებმა, რომელიც მთელს თავის ძლიერებას ერთა გათიშვისა და წაკიდების ნიადაგზე ამყარებს, ამ გარემოებას ნაკლები ყურადღება მიაქცია, ვიდრე ამბოხის ხანძარმა საშიში სახე არ მიიღო. მაგრამ არაბთა აჯანყება ჰფარავს ორმაგ მახვილს, რომელიც დღეს თუ ხვალ ინგლისის გულზეც გაიელვებს.

**— ფაშიზმის თარეში ავსტრიაში.** ავსტრიაში ფაშისტები კანში არ ეტევიან. მთელი მათი ყურადღება ვენისაკენ არის მიპყრობილი, სადაც სოციალ-დემოკრატები ბატონობენ ფაშისტები საკმაოდ ძლიერნი არიან პროვინციებში. მათი ძალები უკვე დაიძრნენ ტიროლიდან, შტირიიდან, ზალცბურგიდან და სხვა. აქ მათ დაარსებული აქვთ ჰაიმვერი (სამშობლოს დამცველი მილიცია), რომელშიაც შედის რამდენიმე ათასი კაცი ისეთი რეაქციონური პარტიებიდან, როგორიცაა აგრარიებისა (დიდი მემამულეებისა) და ქრისტიან სოციალისტებისა. ამათი ფორმაც, როგორც იტალიელ ფაშისტებისა, შავია, ფაშისტური ნიშნებით. ჯერ კიდევ 1927 წელს მათ იმედი ჰქონდათ, რომ სადღესასწაულო მარშით შევიდოდენ ვენაში, როგორც იტალიელი ფაშისტები რომში, მაგრამ ვერაფერს გახდენ. ასეთი მანევრი ამ ახლო ხანშიც გაიმეორეს. მათი ძალები დაიძრენ შტირიიდან და დუნაის ალპებიდან. სოც.-დემოკრატიული მთავრობა ამაოდ მოუწოდებს ხალხს, რომ ფაშისტთა პროვოკაციის ანკესს არ წამოეგონ. „მონდის“ სიტყვით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვენა ამჟამად ფაშისტთა მიერ გარემოცულია, მათ ალყას აძლიერებს თვითონ კანცლერი შტრერუვცი, რომელსაც მუსოლინის „დიდება“ არ ასვენებსო.

**— გუფთა ინდოეთის შესახებ.** ინდოეთელი სახელოვანი მოაზროვნე გუფთა, რომელსაც სათნოებისა და მშვიდობიანობის მოციქულს უწოდებენ, აგვიწერს თანამედროვე ინდოეთის აუტანელ მდგომარეობას. ინდოეთის ნახევარ მცხოვრებთ,—ესე იგი, ასორმოცდაათ მილიონ ხალხს, საჭმელი პური არც კი აქვს. მურსიბადში, მაგალითად, მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი გაწყდა შიმშილით და ეს იმ დროს, როდესაც უკვე ჩონჩხებად გარდაქმნილ ადამიანებმა სიმდიდრით ალსავსე ლონდონს გაუგზავნეს თავიანთი წარმომადგენელი თავიანთ ინტერესების დასაცავად. ამიტომაა, რომ ამ ბოლო დროს ინგლისის მთავრობას ინდოელმა გასაწყლებულმა ხალხმა ასეთი ულტიმატუმი წარუდგინა: „თუ არსებითი დაკმაყოფილება არ მივიღეთ, მაშინ ამბოხების ცეცხლს დავანთებთ და 19—30 წელს საშინელებით გადავწვავთო კმარა, ინდოეთი თავისუფლებისათვის უკვე მსხვერპლის გაღებას არ მოერიდება!“

**— რემარკის წიგნი „დასავლეთში უცვლელი მდგომარეობაა.** ახალმა რომანმა უდიესი სახელი გაითქვა ევროპასა და ამერიკაში, როგორც ომის საპროტესტო ნაწარმოებმა, სრულიად სხვაგვარი გამოძახილი ჰპოვა ომის გუნებაზე დამდგარ ავსტრიაში, სადაც ცენზურამ აღკრძალა და სასტიკად სდევნის, განსაკუთრებით ყაზარმებში.



1 აგვისტო პარიზში. პოლიციელი ქუჩაში აპატიმრებს მუშა-კომუნისტს.

**— შიმშილი ჩინეთში.** სამოქალაქო ომებმა გაანადგურა ჩინეთი და სიკვდილის პირად მიყვანა. გაძვალტყავებულ პროლეტარიატს შიმშილი მუსრს ავლებს. ორმოცდა ჩვიდმეტი მილიონი უკვე იმსხვერპლა ამ სტიქიამ. შიმშილის მძვინვარებასთან ერთად მატულობს ექსპლოატაცია მშრომელი ხალხისა, განსაკუთრებით ქალებისა, რომელთაც 12—14 საათს ამუშავებენ აბრეშუმეულის ფაბრიკებში. მათი ხელფასი თუ ჰაერში მოსულები არიან 15 მანეთამდი უდრის, თუ მცირე—3—5 მანეთამდე. ათას ჩინელ ბავშვზე რვაასი ბავშვი წყდება ისე, რომ ერთ წელსაც ვერ აღწევს! 90 პროც. ჭლექითაა დასნეულებული; რამდენიმე მილიონი სრულიად უთავშესაფაროდ ქუჩაში არის გამოყრილი. და აი, ამ სიკვდილიანობისა და შიმშილობის დროს ევროპიელ კაპიტალისტების მიერ დაქირავებული პამპულა ჩან კაი-ში „თოფითა და ჯინჯიხით“ იარაღდება და ხან შინაურ ამბოხში, ხან საბჭოთა ტერიტორიის საზღვრებთან ხმაურით და ხალხის ჟლეტით ჰსურს დაჰფაროს ნამდვილი სურათი ჩინეთის შინაურული მდგომარეობის.

**— რუსეთის მწერლები იტალიაში.** ფაშისტურმა იტალიამ განსაკუთრებული ბრძანებით აღკრძალა რუსეთის მწერლების ბეჭდვა, არა თუ ახლებისა, არამედ ისეთი კლასიკოსებისაც, როგორიცაა გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ტურგენევი, გორკიზე ხომ კრინტის დაძვრაც არ შეიძლება. მიზეზი ვითომც ნიღილისტური და ანარქისტული მიდრეკილებაა ხსენებულ ავტორთა ნაწარმოებში.

**— საინტერესო დოკუმენტები.** გერმანიაში გამოიცა ომში დახოცილ პროლეტარ ჯარისკაცების წერილები. შინაარსით ესენი არ არიან ისეთი ბრწყინვალე სახისა, როგორც ვილჰელმ კაიზერისა და ლუდენდორფების მემუარები, მაგრამ თვითეული მათგანი გულწრფელი აჯანყებაა ომის წინააღმდეგ. ამ წერილების საშუალებით სრული სიმართლე შეგვიძლიან აღვადგინოთ უკანასკნელი უმაგალითო ომის შესახებ, რამაც მილიონობით შეიწირა და სრულიად გაალატაკა და დასცა თვით უდიდესი სახელმწიფონი. წერილების ორიგინალებს მეტად დიდი ფასი დაედოთ.

**— პროლეტარულ მწერლების ახალი ჟურნალი გერმანიაში.** გერმანელ პროლეტარულ მწერლებმა თავიანთი ორგანო დაიარსეს: „Die hinkskurve“ ლუდვიგრენის რედაქტორობით. პირველ ნომერში მოცემულია პროგრამა, რამდენიმე სანიმუშო მოთხრობა და ფრიად საყურადღებო პოლემიკური წერილი „hiterariche Welt“ (ლიტერატურული ქვეყანა) კურტ კლებერისა, რომელიც იხილავს პროლეტარულ პოეზიის საკითხს.

**— ტელეფოტოგრაფის პირველი აღმომჩენი.** ტელეფოტოგრაფის განვითარების ისტორია სულ ოთხიოდე წელია, აღმოჩენას აწერდენ ბერდებს, ალექსანდ ერზონებს და სხვებს, მაგრამ ბეჯით კვლევა-ძიების შემდეგ დადასტურდა, რომ 22 წლის წინად იგი აღმოუჩენია ბაზეს, მის აღმოჩენისთვის სერიოზული ყურადღება არ მიუქცევიათ და აღმომჩენი დიდ სიღარიბეში მომკვდარა.



გასტონის გაფიცული ფეიქრები, რომელნიც გამოდევნეს მექარხნეების ბინებიდან

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია რედაქციის მისამართი— ძაძოს ქ. № 68

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰაეროპლანი „მიწა და ფაბრიკა“ დაეშვა სადგურ წნორის წყალზე, სადაც გლეხთა შორის მოაწყო მიტინგი.



ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა ყველა რაიონებში დიდის წარმატებით და ხალისით მიმდინარეობს.



„მიწა და ფაბრ.კას“ მფრინავები.



125 წლ. მოხუცი იოსებ პარუნაშვილი, რომელიც მოსწრებია არსენა ოძელაშვ.ლს.



ფოტ. ნუცუბიძის.

აჭარისტანის ცაკის აჭარელ გლეხთა სახლი ბათომში.

# ორი პოლიუსი



1917 წელს, რუსეთის მუშათა პარტია მეფის სასახლეში ბრძოლით შევიდა.



1929 წელს ინგლისის მუშათა პარტია თაყვანისცემით შედის მეფის სასახლეში.

„პროჟექტორიდან“.

მთავლიტი № 1923 ტირაჟი 4.500 პ/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.